1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი

13 ნოემბერი, 2023

№ 6 [224]

პროფესორმა ლევან თავბერიძემ ე.წ. ყალბი სახსრებისა და ენდოპროტეზირების შემდგომი გართულებების ოპერაციული მკურნალობის ინოვაციური მეთოდები დანერგა 14 გვ.

ევროკომისიის რეკომენდაციას - საქართველოს მიენიჭოს ევრო-კავშირის წევრობის სტატუსი - თსუ გამოეხმაურა.

ლადო ჭანტურია – მსოფლიოს მოქალაქე

უნივერსიტეტმა მეცნიერის 60 წლის იუბილე აღნიშნა 13 გვ.

10 ნოემბერს მეცნიერთა საერთაშორისო დღე აღინიშნა

თსუ-ს რექტორმა მეცნიერები დააჯილდოვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, მეცნიერთა საერთაშორისო დღის ფარგლებში, თსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერები ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა. რექტორის ინიციატივით, დაჯილდოებულ მეცნიერებს უნივერსიტეტისგან ფულადი ჯილდოც გადაეცემათ. 2 გვ.

12 წლის შემდეგ პირველი გამარჯვება

ფიბა (FIBA) ევროპის თასზე თსუ-მ პირველი გამარჯვება მოიპოვა

2011 წლის 29 ნოემბერს საკალათბურთო კლუბმა „არმიამ“ ევროჩელენჯზე გერმანული „გოტინგენი“ დაამარცხა – 69:61. მას მერე ფიბა-ს მიერ ორგანიზებულ არცერთ ტურნირზე ქართულ გუნდს გამარჯვება არ მოუპოვებია. ნავსი 2023 წლის 26 ოქტომბერს თსუ-მ გატეხა – ფიბა-ევროპის თასზე კვიპროსის „კერავნოსს“ 63:60 სძლია.

სტუდენტური ფურცელი 5-12 გვ.

თბილისის საპატიო მოქალაქეები უნივერსიტეტიდან 3 გვ.

ახალი ცნობები ვარლამ ჩერქეზიშვილზე

გვესაუბრება პროფესორი გოჩა ფერაძე 4 გვ.

კონკურსი თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად 15 გვ.

tsu.media

ჯაბა სამუშიამ მეცნიერთა საერთაშორისო დღის ფარგლებში თსუ-ს მეცნიერები დააჯილდოვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, მეცნიერთა საერთაშორისო დღის ფარგლებში, თსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერები ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა. რექტორის ინიციატივით, დაჯილდოებულ მეცნიერებს უნივერსიტეტისგან ფულადი ჯილდოც გადაეცემათ.

ღონისძიებაზე რექტორმა ჯაბა სამუშიამ ისაუბრა მეცნიერების როლზე ქვეყნისა და მსოფლიოს განვითარებაში, თსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერების ღვაწლზე მეცნიერების წინაშე, მათ მიერ ჩატარებულ წარმატებულ კვლევებზე, საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობაზე და, ასევე, იმ გამოწვევებზე, რომელიც დღეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წინაშეა.

„ქვეყანა დგას მეცნიერებაზე, განათლებაზე. მეცნიერების გარეშე ქვეყნის წინსვლა, განვითარება არ არსებობს. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი წარმატებული სახელმწიფოსთვის ეს მიმართულება არის პრიორიტეტული, ამიტომაც ჩვენც ვცდილობთ, რომ რაც შეიძლება მეტი მხარდაჭერა გამოუცხადონ მეცნიერებს. ჩვენ უკვე ვდგავარათ ევროპის კართან და ჩვენი მეცნიერების მიღწევებმა უნდა დაგვიმკვიდროს გამოკვეთილი ნიშა ევროპულ ოჯახში“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ. მისი თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში მყოფ 16 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოღვაწეობენ ადამიანები, რომლებიც ქმნიან თანამედროვე მეცნიერებას. როგორც რექტორმა აღნიშნა, აუცილებელია მათი მხარდაჭერა სახელმწიფოს და უნივერსიტეტის მხრიდან, რომ უფრო პრესტიჟული გახდეს მეცნიერის სტატუსი, გაახალგაზრდავდეს მეცნიერება და სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა უფრო მეტი წვლილი შეიტანონ თანამედროვე განათლებისა და მეცნიერების სისტემის შექმნაში.

თსუ-ს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნატალია ჩინჩალაძემ მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს მეცნიერების დაფასებისა და დაჯილდოებისთვის. „მოხარული ვარ, რომ საქართველოში აღინიშნება მეცნიერების საერთაშორისო დღე. რთულია მეცნიერებაში ყოფნა, მაგრამ რომ არ განვითარებულიყო მეცნიერება, ალბათ, დავრჩებოდით გამოქვაბულებში. მეცნიერება დიდ შრომას მოითხოვს, უნდა იცნობდე მსოფლიოს მიღწევებს, მუდმივად ანახლებდე შენს ცოდნას, მაგრამ თუ იშრომებ, დაგიფასდება. ყველა ჯილდო არის სტიმული, რომ უფრო მეტი გააკეთო და უფრო წინ წახვიდე“, - აღნიშნა ნატალია ჩინჩალაძემ.

> **ჩვენ უკვე ვდგავარათ ევროპის კართან და ჩვენი მეცნიერების მიღწევებმა უნდა დაგვიმკვიდროს გამოკვეთილი ნიშა ევროპულ ოჯახში**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდნენ: **მანანა კაკაბაძე** (ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი); **გიორგი თოდრია** (თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი); **თეიმურაზ კორძახია** (პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი); **ომარ ძაგნიძე** (ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი); **დავით გოგოლი** (რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი); **რუსუდან ჩოლოყაშვილი** (შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი); **ოთარ ვარაზანაშვილი** (მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი); **ჯამლეტ მონასელიძე** (ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი); **ვახტანგ ბურდული** (პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი); **ნატალია ჩინჩალაძე** (ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი); **გულიკო ლიპარტელიანი** (ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი); **იზოლდა ქამუშაძე** (ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი); **იზოლდა (იზა) ჩანტლაძე** (არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი); **ციალა იოსელიანი** (ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი); **გიორგი ბერიძე** (ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი); **გია გელაშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი).

მეცნიერთა დაჯილდოების ცერემონია მეცნიერების საერთაშორისო დღის ფარგლებში გაიმართა, რომელიც UNESCO-ს ეგიდით 2001 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ქრონიკა

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში აშოტ სმბატიანთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებს შორის, თანამშრომლობის განვითარების მიზნით, ახალი პროექტების განხორციელებაზე ისაუბრეს. თსუ-ს რექტორმა და ელჩმა, ასევე, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიმართულებით თანამშრომლობაზე იმსჯელეს. როგორც რექტორმა ჯაბა სამუშიამ აღნიშნა, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროში არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება და ახალ ეტაპზე გადავა.

* * *

თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია დაესწრო თსუ-ში ქართული ენციკლოპედიის განახლებული ვებგვერდის (Georgianencyclopedia.ge) პრეზენტაციას.

განახლებული ვებგვერდი ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთავარმა რედაქტორმა, თსუ-ს პროფესორმა ზურაბ აბაშიძემ წარადგინა.

ვებგვერდი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობას იძლევა. ენციკლოპედიაში თავმოყრილია მაღალაკადემიურ დონეზე შექმნილი 15 ათასამდე სტატია საქართველოსა და ქართველების შესახებ, ყველა მნიშვნელოვანი ფაქტის, მოვლენის, ისტორიული პიროვნების თაობაზე.

თსუ-ს რექტორმა ქართული ენციკლოპედიის რედაქციას ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის ინგლისურ ენაზე თარგმნაში უნივერსიტეტის ინტელექტუალური რესურსით მხარდაჭერა შესთავაზა.

* * *

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის დირექტორმა თამთა დემურიშვილმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმის ფარგლებში მხარეები პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებთან ერთად განახორციელებენ დასაქმებისთვის მომზადება/დასაქმების ხელშემწყობ ერთობლივ ღონისძიებებს, შეხვედრებს, ტრენინგებს, დასაქმების ფორუმებს, სარეაბილიტაციო აქტივობებს. თანამშრომლობა ასევე მოიცავს ინფორმაციის გაცვლასა და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების მიწოდებას, შესაძლებლობების ფარგლებში, ერთობლივი პროგრამებისა და სერვისების დანერგვას. თსუ-ს რექტორმა მსჯავრდებულებისთვის საქართველოს ისტორიიდან საინტერესო თემებზე საჯარო ლექციების წაკითხვის მზადყოფნა გამოთქვა.

* * *

სტუდენტებში ჯანმრთელობის დროული მონიტორინგის დანერგვისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კომპანია „ევექსს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და ევექსის დირექტორმა გიორგი გორდაძემ მოაწერეს. თანამშრომლობის ფარგლებში, თითოეულ სტუდენტს საშუალება ექნება საქართველოს ბანკისა და ევექსის ჯანდაცვის სტუდენტურ პროგრამას შეუერთდეს და მიიღოს დამატებითი ფასდაკლება ევექსში სამედიცინო სერვისებზე.

* * *

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ გახსნა.

კონფერენციაში ქართველი და უცხოელი უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევითი ინსტიტუტების 100-მდე პროფესორ-მასწავლებელი და მკვლევარი მონაწილეობდა, რომელთაც ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე გამოწვევებზე კვლევითი ნაშრომები წარმოადგინეს და საერთაშორისო გამოცდილებაზე ისაუბრეს.

ღონისძიების გახსნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ პაპუკაშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი გიორგი ღაღანიძე, დარგის ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

* * *

თსუ-ს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 90 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ინსტიტუტის წარმატებული მეცნიერები, ახალგაზრდა მკვლევრები და პედაგოგები ვახუშტი ბაგრატიონის მედლით დააჯილდოვა. საიუბილეო-სამეცნიერო კონფერენცია „გეოგრაფია — წარსული, აწმყო, მომავლის გამოწვევები“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა, რომელსაც თსუ-ს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი ნანა ბოლაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი როინ მეტრეველი, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები, მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაზე მომხსენებლებმა ინსტიტუტის დაარსების ისტორიაზე, სამეცნიერო-კვლევით მიღწევებზე, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ ჩატარებულ სამუშაოებზე, კვლევებზე, აღმოჩენებსა და ინსტიტუტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს.

* * *

თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია ევროკავშირის ელჩს საქართველოში პაველ ჰერჩინსკის და ლატვიის ვიძემეს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორს აგნესე დევიდსონეს შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები, ისაუბრეს თანამშრომლობის შედეგად მიღწეულ შედეგებზე და სამომავლო თანამშრომლობისთვის მზაობა გამოთქვეს.

„ჩვენ ძალიან ვაფასებთ ევროპასთან მეგობრობას, ეს ურთიერთობები საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ევროკავშირთან ინტეგრაცია ნიშნავს ჩვენს სახლში, მშობლიურ გარემოში დაბრუნებას“, — განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

საპატიო თბილისელები თსუ-დან

არჩილ ხომასურიძე

რამაზ გახოკიძე

თამაზ მაღლაკელიძე

თამარ დადიანი

მეცნიერი, აკადემიკოსი, პედაგოგი, ქიმიკოსი **რამაზ გახოკიძე**, რეპროდუქტოლოგი, ენდოკრინოლოგი, აკადემიკოსი **არჩილ ხომასურიძე** და აკადემიკოსი, ექიმი-პულმონოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **თამაზ მაღლაკელიძე** იმ მეცნიერებს შორის არიან, ვისაც წელს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. თბილისის საპატიო მოქალაქეებს 1979 წლიდან ირჩევენ. „საპატიო თბილისელის“ დაჯილდოება თბილისობის განუყოფელი ნაწილია, როცა ტრადიციულად განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ და ვაფასებთ იმ ადამიანების პროფესიონალიზმს, ღვაწლს, დამსახურებებს, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ და ჩვენს დედაქალაქს, თბილისს და სრულიად საქართველოს ასახელებენ. ეს ადამიანები ჯილდოვდებიან თბილისზე უანგარო ზრუნვისა და მისი განვითარების საქმეში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის, ასევე, თბილისელების ერთგული სამსახურისთვის. ეს საპატიო წოდება მხოლოდ ტიტული არ არის, გაცილებით მეტია და ღრმა – ეს არის გულიდან წამოსული მადლობა მთელი ქალაქისგან, ქვეყნისგან და, რაც მთავარია, ხალხისგან. ამ გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად დაჯილდოვდნენ ის მეცნიერები, რომლებიც დღეს არა მარტო ქალაქის, ქვეყნის, არამედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახეს წარმოადგენენ.

თუ რას ნიშნავს თსუ-ში მოღვაწე თბილისის საპატიო მოქალაქეებისთვის ამ წოდების მინიჭება და როგორ და რა მიმართულებით ისურვებდნენ ისინი თბილისის განვითარებას, ამის შესახებ თბილისის საპატიო მოქალაქეები თვითონ გვესაუბრებიან:

რამაზ გახოკიძე – აკადემიკოსი, თსუ-ს ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, თსუ-ს ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი, თსუ-ს ბიოორგანული ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი; საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, აშშ ფარმაკოგნოზიის საზოგადოების ნამდვილი წევრი; იტალიის გარემოს დაცვის სამეცნიერო კომიტეტის წევრი; ევროპის ეკოლოგიური კომიტეტის წევრი; თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირის (IUPAC) წევრი; საქართველოს ეროვნული პროფილაქტიკური მედიცინის, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აგროტექნოლოგიური, საინჟინრო ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. რამდენიმე საგნის და გამოგონების ავტორი, მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში აგრობიოორგანული ქიმიის და აგრომედიცინის განვითარება, რაშიც მას დიდი დამსახურება აქვს. საქართველოს ეროვნული პრემიის, საქართველოს ღირსების ორდენის, საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და მელიქიშვილის პრემიის ლაურეატი.

„ჩემთვის, როგორც თბილისელისთვის, უდიდესი პატივია მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის – თბილისის საპატიო მოქალაქეობა, იმ ლეგენდარული ქალაქისა, რომელიც მიუხედავად სპარსთა, ოსმალთა და ბიზანტიელთა მიერ მრავალგზის შემოსევისა, მუდამ გაუტეხელი რჩებოდა. პირველ რიგში ვისურვებ, რომ თბილისს დაუბრუნდეს პირვანდელი ხიბლი და ისტორიული სურნელი, უფრო სათუთად მოვეპყრათ ქალაქის არქიტექტურას თავისი განუმეორებელი, ფაქიზი ინტონაციებით“...

* * *

თამაზ მაღლაკელიძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი; საქართველოს რესპირატორული ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი; მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ქრონიკულ რესპირატორულ დაავადებებთან ბრძოლის გლობალური ალიანსის კოორდინატორი სამხრეთ კავკასიაში; ევროპის რესპირატორული, ამერიკის თორაკალური და რუსეთის რესპირატორული ასოციაციების წევრი; ღირსების ორდენის კავალერი.

„ჩემთვის ამ აღიარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იმ ქალაქის და მოქალაქეების აღიარება, რომელსაც მთელი ცხოვრება ვემსახურები, საოცრად ამაღელვებელია. ეს ყოველივე კი ჩემი კოლეგების, ოჯახის მხარდაჭერის და ჩემი პაციენტების ნდობის დამსახურებაა. როგორც საპატიო მოქალაქე მზად ვარ შევასრულო ჩემზე დაკისრებული მოვალეობა, რომელიც ჩვენი საზოგადოების რესპირატორული ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და თბილისის განვითარებაში წვლილის შეტანას გულისხმობს. ეს ყოველივე კი შემდგომ სტრატეგიებს მოიცავს: 1. ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება: თბილისი, ისევე, როგორც ბევრი ურბანული ქალაქი, ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე დგას. ელექტრომანქანების პოპულარიზაცია და ჰაერის ხარისხის მონიტორინგი წინ გადადგმული ნაბიჯია დამაბინძურებელი აგენტების შესამცირებლად და, შესაბამისად, ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად; 2. მწვანე სივრცეების გაზრდა და ურბანული დაგეგმარება: საჭიროა მწვანე სივრცეების, პარკებისა და ფეხით მოსიარულეთათვის ტერიტორიების გაფართოება, რათა უზრუნველვყოთ ბუნებრივი ხერხით ჰაერის გაწმენდა და ფიზიკური დატვირთვის პოპულარიზაცია; 3. სიგარეტის მოწევის რეგულაცია: საჭიროა გამკაცრდეს მოწევის საწინააღმდეგო რეგულაციები. საჭიროა პოპულარიზაცია გავუწიოთ თამბაქოს თავის დანებების პროგრამას მწეველთა პრევალენსის შესამცირებლად. ასევე, საჭიროა ინვესტიცია პროფილური დაწესებულებების განვითარებაში, რათა უზრუნველვყოთ შესაბამისი პროფესიონალების ტრენინგები და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის ფართე გამოყენება; 4. ცნობიერების გაზრდა: საჯარო კამპანია ფილტვის ჯანმრთელობაზე ცნობიერების გაზრდის მიზნით. საჭიროა მოქალაქეებს მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია სუფთა ჰაერის, სწორი ნუტრიციული კვების და რეგულარული ფიზიკური აქტივობის საჭიროების შესახებ; 5. ადრეული დიაგნოზი და პრევენცია: საჭიროა რეგულარული check-up პროგრამებისა და სკრინინგ ტესტების შემოღება ფილტვის დაავადების ადრეული დიაგნოსტირების და, შესაბამისად, დროული მკურნალობისათვის. ამ სტრატეგიების განხორციელებით თბილისის მოქალაქეებს შეეძლებათ ისუნთქონ სუფთა ჰაერი, ისარგებლონ ცხოვრების მაღალი ხარისხით და შეინარჩუნონ ფილტვების ჯანმრთელობა“.

* * *

არჩილ ხომასურიძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, „არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის“ გენერალური დირექტორი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი; საქართველოსა და საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიებისა და ასოციაციების წევრი, მათ შორის, რეპროდუქტოლოგთა საერთაშორისო აკადემიის წევრი 1997 წლიდან; საერთაშორისო პროგრამების (UNFPA, WHO) კოორდინატორი, დირექტორი და კონსულტანტი რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარგში; 1988-2002 წწ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ექსპერტი. 450 სამეცნიერო შრომის, 10 სახელმძღვანელოს, 6 მონოგრაფიის, 3 გამოგონების ავტორი, 50 საკანდიდატო და 5 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი. მისი ძალისხმევით შეიქმნა ახალი სამედიცინო დარგი – „რეპროდუქტოლოგია“, 1997 წლიდან საქართველო გახდა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც რეპროდუქტოლოგია ოფიციალურად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამედიცინო დისციპლინად. არის საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, მის სახელს უკავშირდება ქართულ მედიცინაში არაერთი პროგრესული წამოწყება – კონტრაცეპციის, ლაპაროსკოპიული, „ინ-ვიტრო“ განაყოფიერების ტექნოლოგიების დანერგვა და მრავალი სხვა.

„როდესაც გავიგე, რომ წარდგენილი ვარ ამ საპატიო ჯილდოზე, ორმაგი შეგრძნება გამიჩნდა: ერთი იყო სიამოვნების გრძნობა, ხოლო მეორე – შეკითხვა: ყველაფერს თავისი დრო აქვს, რაღა დროს ჩემი საპატიო მოქალაქეობაა?! და გავიფიქრე: იქნებ, ისედაც ვერ გავიმარჯვო კონკურსში-თქო. შემდგომში, როდესაც გავიგე, რომ მომენიჭა საპატიო მოქალაქეობა და, განსაკუთრებით, როდესაც შედგა შესაბამისი ღონისძიება, უნდა ვაღიარო, რომ ვარ უაღრესად კმაყოფილი სამი მიზეზის გამო: 1. დაჯილდოებულთა ჯგუფი და, განსაკუთრებით, ხელოვნების წარმომადგენლები აღმოჩნდნენ უაღრესად პატივსაცემი თბილისელები; 2. აგრეთვე დაჯილდოებულთა შორის ფართოდ იყო წარმოდგენილი მედიცინა; 3. ჩვენი ქალაქის მერიამ მოგვიწყო ექსტრაორდინარულად გრანდიოზული ღონისძიება ოფიციალურ მიღებათა სასახლეში. ვიტყოდი გულახდილად, რომ მე ჯილდოები არ მაკლია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დიდი უმრავლესობა მაქვს მიღებული დასავლეთში და ჩემს ქვეყანაში, მაინცდამაინც, განებივრებული არ ვყოფილვარ ამ მხრივ. ახლა კი, როდესაც ყველაფერმა ჩაიარა, მიმაჩნია, რომ საპატიო თბილისელის წოდება გახლავთ ჩემი ცხოვრების მთავარი ჯილდო. დიდი მადლობა თბილისელებს და დიდი მადლობა თბილისის მერიას“.

კომენტარი

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ დეკანად პროფესორი მზია წერეთელი 27 სექტემბერს აირჩია. მზია წერეთელმა დეკანის პოსტზე პროფესორი თამარ გაგოშიძე შეცვალა.

მზია წერეთელი: „მიუხედავად იმისა, რომ ფაკულტეტზე ხელმძღვანელი შეიცვალა, ჩვენ გვაქვს ტრადიცია – ერთმანეთთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გუნდურობის, ორგანიზებული მართვის სტილის, რასაც ჯერ კიდევ ჩვენი ფაკულტეტის დამფუძნებლებმა ჩაუყარეს საფუძველი და დღემდე გრძელდება. ეს ტრადიცია არ შეწყვეტილა არც მაშინ, როდესაც არა მხოლოდ ჩვენი ფაკულტეტისთვის, არამედ, ზოგადად, ჩვენი ქვეყნისთვის რთული დრო იყო. მე ჩემს კონცეფციაშიც აღვნიშნე, რომ ჩემი მიზანია არა მხოლოდ ფაკულტეტზე არსებული პროგრესის შენარჩუნება, არამედ – განვითარებაც, მათ შორის, სწავლის ხარისხის ზრდაზე უწყვეტი ზრუნვა, დიგიტალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია. მოკლედ რომ ვთქვა — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე არაჩვეულებრივი, საიმედო გუნდია შეკრებილი, რომელიც საკუთარ საქმეს კარგად ართმევს თავს და ეს, როგორც დეკანს, საშუალებას გაძლევს, რომ ყველაფერი კარგად დაგეგმო, გადაანაწილო“.

> **„ჩემი მიზანია არა მხოლოდ ფაკულტეტზე არსებული პროგრესის შენარჩუნება, არამედ – განვითარებაც“**

სრული ინტერვიუ იხილეთ tsu.media-ზე
ავტორი: ნატო ობოლაძე

უნივერსიტეტის ინიციატივით თბილისში უკვე ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ქუჩა გვაქვს

მაია ტორაძე

რამდენიმე წელია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქტიური საქმიანობა მიმდინარეობს XIX-XX საუკუნეების ცნობილი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის უკვდავსაყოფად. აქ 2019 წლიდან მუშაობს სპეციალური კომისია, რომელმაც არაერთი ღონისძიება მიუძღვნა საქართველოსთვის თავდადებული და უსამართლოდ მივიწყებული პიროვნების საქმეთა პოპულარიზაციას.

ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის უკვდავსაყოფად გაწეული ბოლოდროინდელი მუშაობის შესახებ გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის ისტორიისა და თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი **გოჩა ფერაძე**:

– ბატონო გოჩა, თავდაპირველად გვინდა მკითხველს იმ სიახლის შესახებ ვუამბოთ, რომელიც თქვენი ჯგუფის ინიციატივას მოჰყვა...

– მოხარული ვარ, რომ ბოლო რამდენიმე წელია, კეთილ ტრადიციად დამკვიდრდა ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბადების დღეს, 16 სექტემბერს, უნივერსიტეტის საზოგადოების წინაშე ერთგვარი ანგარიშით წარვდგეთ საუკუნის განმავლობაში დასავიწყებლად გამეტებული დიდი მამულიშვილის, პოლიტიკური ემიგრანტის სახელის უკვდავსაყოფად გაწეული სამუშაოს შესახებ. თქვენი გაზეთის მეშვეობით ამ ტრადიციას არც წელს დავარღვევთ და ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე, რაც გვინდა საზოგადოებას ვაცნობოთ, გახლავთ ის, რომ, უნივერსიტეტის რექტორის ხელმძღვანელობით მოქმედი სამუშაო ჯგუფის ინიციატივითა და თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით, მიმდინარე წლის აგვისტოში დედაქალაქის ისნის რაიონის ერთ-ერთ ქუჩას ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი მიენიჭა.

– გაგვაცანით სამუშაო ჯგუფის მიერ აქამდე განხორციელებული ინიციატივებიც...

– თუ 2019 წლისთვის, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ავანგარდში მდგომი მამულიშვილის პატივსაცემად საქართველოში მემორიალური დაფაც კი არ გაგვაჩნდა, დღეს უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით და სამუშაო ჯგუფში გაერთიანებულ მეცნიერთა, ხელისუფლების ცენტრალური თუ ადგილობრივი ინსტიტუტების წარმომადგენელთა მონდომების წყალობით გვაქვს არამც თუ მემორიალური დაფა, არამედ ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის საჯარო სკოლა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მის მშობლიურ

ახალგაზრდა ვარლამ ჩერქეზიშვილის ფოტო, 1876 წელი

სოფელ თოხლიაურში; თავად ქ. საგარეჯოში ქუჩა ატარებს ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელს; უნივერსიტეტის კედლებში უკვე გაიმართა ორი დარგთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია – მიძღვნილი ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი, გამოიცა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებული, რომელშიც, სხვადასხვა დარგის ღვაწლმოსილი თუ ახალგაზრდა მეცნიერების მიერ, წარმოჩენილია დიდი მამულიშვილის როგორც ქართველი ხალხის, ისე, ზოგადად, კაცობრიობის წინაშე დამსახურებების ამსახველი აქამდე უცნობი ეპიზოდები. ასევე მოეწყო დიდი მამულიშვილის დაბადებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა როგორც თბილისის, ასევე, გორისა და ბათუმის უნივერსიტეტებში. გასული წლის სექტემბერში გამოფენას სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით საკუთარ რეზიდენციაში საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უმასპინძლა. ორბელიანების სასახლეშივე შედგა ვარლამ ჩერქეზიშვილის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს ფოსტის მიერ 20 000-იანი ტირაჟით გამოცემული საფოსტო მარკის წარდგენა.

გასულ წელსვე გადავწყვიტეთ დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის დიდი მამულიშვილის სახელის მინიჭების თხოვნით დედაქალაქის საკრებულოსთვის მიგვემართა. ამ ინიციატივას აქტიურად დაუჭირა მხარი მაშინ ჯერ კიდევ უნივ-

შესანიშნავად ვაცნობიერებთ, რომ იმასთან შედარებით, რასაც საქართველოსთვის თავდადებული მამულიშვილი შთამომავლობისგან (ვარლამს და მის ჰოლანდიელ მეუღლეს ფრიდა რუპერტუსს შვილი არ ჰყოლიათ) იმსახურებს, ცოტაა, მაგრამ მთავარია, რომ მოძრაობა ამ მიმართულებით დაწყებულია და მისი მოთავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

ერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ვარლამის ღვაწლის დიდმა დამფასებელმა, ბატონმა ჯაბა სამუშიამ და, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ეს ერთობლივი ძალისხმევა სულ ცოტა ხნის წინ წარმატებით დასრულდა.

შესანიშნავად ვაცნობიერებთ, რომ იმასთან შედარებით, რასაც საქართველოსთვის თავდადებული მამულიშვილი შთამომავლობისგან (ვარლამს და მის ჰოლანდიელ მეუღლეს ფრიდა რუპერტუსს შვილი არ ჰყოლიათ) იმსახურებს, ცოტაა, მაგრამ მთავარია, რომ მოძრაობა ამ მიმართულებით დაწყებულია და მისი მოთავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

– კიდევ რა სიახლე გვაქვს, რას გვეტყოდით თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ?

– ცხადია, ქუჩის სახელდება - ეს არ არის ერთადერთი, რისი გაკეთებაც შევძელით ამ ერთი წლის განმავლობაში. კერძოდ, აქტიურად ვმუშაობთ მეორე დარგთაშორისი სამეცნიერო კონფერენციის მასალების ამსახველი კრებულის გამოცემაზე, ვარლამ ჩერქეზიშვილის ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ ენებზე გამოცემულ და უკვე საყოველთაო აღიარების მქონე შრომების თარგმნასა და გამოქვეყნებაზე. სამწუხაროდ, ქართულ ენაზე ამ წიგნების დიდი უმრავლესობა, ჯერ-ჯერობით, თარგმნილი და გამოცემული არ არის. საქართველოში ისინი მხოლოდ ფრაგმენტულად თუ იბეჭდებოდა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გამომავალ ისეთ პერიოდულ გამოცემებში, როგორიც იყო „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ნობათი“ და სხვა.

დიდი სამუშაო გასწია ამ თვალსაზრისით თსუ-ს პროფესორმა, ბატონმა დიმიტრი შველიძემ. მან 2011 წელს მაგისტრანტთა ჯგუფთან ერთად გამოსცა გაზეთებში – „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ 1893-1904 წლებში გამოქვეყნებული ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილების კრებული. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ვარლამის მიერ საზღვარგარეთ თითქმის ყველა ევროპულ ენაზე გამოცემული წიგნების დიდი უმრავლესობა დღემდე ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობია. ეს მაშინ, როდესაც ვარლამ ჩერქეზიშვილი შესაძლოა პირველი ქართველი ავტორი აღმოჩნდეს, ვისი შრომებიც, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, თარგმნილია ჩინურ, იაპონურ ენებზე. მათი დიდი ნაწილი პირადად მაქვს ნანახი როგორც ქ. ვაშინგტონში კონგრესის ბიბლიოთეკაში, ისე ლონდონსა და ოქსფორდში, შესაბამისად, ბრიტანეთისა და ბოდლიანის ბიბლიოთეკებში. ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

მე და ჩემს კოლეგებს – საქართველოში ანარქისტული მოძრაობის პირველმკვლევრებს, ქალბატონებს: თამარ გვიანიშვილს, ნატა დავლაშერიძეს, ღვაწლმოსილ ქართველ მეცნიერებს, პროფესორებს: ელდარ ბუბულაშვილს, პაატა გერგაიას, რუსუდან დაუშვილს, ნუგზარ სურგულაძეს, აკაკი ყულიჯანიშვილს, ოთარ ჯანელიძეს ხშირად გვაქვს მსჯელობა გაერთიანებული სამეფოდან ვ. ჩერქეზიშვილის ფერფლის საქართველოში გადმოსვენების თაობაზე. არის აზრთა სხვადასხვაობაც. მაგრამ ერთ საკითხში ყველანი ვთანხმდებით – მისი ნეშტი სამშობლოში უნდა დაბრუნდეს. ასევე უნდა დაბრუნდეს მისი უმდიდრესი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, გაიზარდოს მისი ცნობადობა არამარტო აკადემიურ წრეებში, არამედ ფართო საზოგადოებაში. ეს კი, მერწმუნეთ, გაცილებით რთული საქმეა, ვიდრე ჩემ მიერ, თუნდაც 10-წლიანი ძებნის შემდეგ, მრავალმილიონიან ლონდონში ვარლამის ფერფლით პატარა ლითონის ყუთის მოძიება (2021 წლიდან ინახება თსუ-ს მუზეუმში), ან თუნდაც აწ უკვე ქართული მარმარილოსგან დამზადებულ სარკოფაგში გადასვენებული დიდი მამულიშვილის ფერფლის ლონდონიდან საქართველოში ჩამოტანა.

მიმდინარე წლის დასაწყისში წარმატებული გამოდგა ჩემი ქალიშვილის, იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტის, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის გულიკო ფერაძის (საბედნიეროდ, მანაც ქართველოლოგიაში არჩია დარჩენა) ვიზიტი ქ. ამსტერდამში, სოციალიზმის ისტორიის საერთაშორისო ინსტიტუტში. აქ ვარლამისა და მისი თანამებრძოლების, საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის აღიარებული ლიდერების შესახებ ბევრი, უაღრესად საინტერესო მასალაა დაცული. მათ შორის, ნაპოვნი იქნა ვარლამის დღემდე ცნობილი ყველაზე ადრინდელი, ჯერ კიდევ 1876 წელს გადაღებული ფოტოსურათი, რომელიც გადავწყვიტეთ პირველად სწორედ უნივერსიტეტის გაზეთის მეშვეობით გავაცნოთ ფართო საზოგადოებას.

სიახლე

რა დოკუმენტი გააცნო გოჩა ფერაძეს თსუ-ს მუზეუმის დირექტორის მოადგილემ დავით სართანიამ ვარლამ ჩერქეზიშვილზე

გოჩა ფერაძე: „კიდევ ერთი, ჩემი აზრით, მართლაც გასაოცარი დოკუმენტი მინდა გაგაცნოთ, რომელიც შესანიშნავმა მეცნიერმა, თსუ მუზეუმის დირექტორის მოადგილემ დავით სართანიამ მომაწოდა. ეს გახლავთ უნივერსიტეტის პირველი რექტორის, პროფესორ პეტრე მელიქიშვილის სამადლობელი წერილი ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი. მიგვაჩნია, რომ დასახელებული დოკუმენტებიდან ის ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ამ გასაოცარი ადამიანის სურვილს (რომელიც ყოველთვის ახასიათებდათ დიდ ერისკაცებს) – მომავალ თაობებს სამშობლოშივე ჰქონოდათ საუკეთესო განათლების მიღების შესაძლებლობა. ამ წერილით რექტორი, საკუთარი და უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სახელით, მადლობას უხდიდა ვარლამ ჩერქეზიშვილს და მის მეუღლეს ქართული უნივერსიტეტის ფონდის გასაძლიერებლად უხვი შეწირულობის (1000 მან.) გაღებისათვის.

არანაკლებ საინტერესო გახლავთ თავად ამ თანხის წარმომავლობა. „ქართულ უნივერსიტეტის რექტორს... (ვკითხულობთ ვარლამ ჩერქეზიშვილის 1918 წლის 20 იანვრით დათარიღებულ წერილში) – დიდად პატივცემულო ბატონო პეტრე გრიგორის ძევ! მოგართმევთ რა ამ წერილთან ერთად ათას მანეთის ჩეკს ქართულ უნივერსიტეტის საჭიროებისათვის, ვალად ვრაცხ განვაცხადო შემდეგი: დიდი ხნის ემიგრაციის შემდეგ, სამშობლოში ჩემის დაბრუნების დროს ამიერკავკასიის ქართულმა ბანკმა შემომთავაზა ზემოაღნიშნული ფული იმ პირთაგან, რომელნიც თანაუგრძნობენ ემიგრანტების გაჭირვებულ მდგომარეობას. ამ თანამგრძნობთა ქველობის დიდად მადლიერმა მე მივიღე ის ფული. მაგრამ ჩემდა სასიხარულოდ მე ამ ფულს არც კი მივკარებივარ, რადგან მეგობართა და ნაცნობთა წყალობით მე და ჩემს მეუღლეს საკმაოდ დაჯილდოებული სამუშაო აღმოგვიჩნდა. ამიტომაც გადავწყვიტეთ [გადმოგცეთ იგი] ამ დიდი ხნის ნანატრს, ჩვენს ხალხში ცოდნის და მოქალაქეობრიობის დამნერგველს ქართულ ეროვნულ უნივერსიტეტის ფონდის გასაძლიერებლად“.

არ ვიცი, მერამდენე ვიქნები, ვინც კიდევ ერთხელ აღფრთოვანებით გავიმეორებ დიდი გრიგოლ რობაქიძის სიტყვებს: „აი, ვინ იყო ქართველნო ვარლამ ჩერქეზიშვილი“ და რა სულისკვეთებამ, რა შემართებამ შეაძლებინა ქართველ ხალხს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, 1918 წლის 8 თებერვალს, ამ დიდებული საგანმანათლებლო ტაძრის გახსნა“.

1927 წლიდან
თბილისის უნივერსიტეტი

სტუდენტური ფურცელი

ახალი პრეზიდენტის გეგმები

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი თსუ-ს გაზეთს ესაუბრა

7 გვ.

დამეგობრების პრობლემაზე მსჯელობა

პრობლემა და გამოსავალი თსუ-ს სტუდენტებისთვის

8 გვ.

თსუ-ში კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ფენომენის კვლევა დაიწყო

გვესაუბრება თინათინ მაჭარაშვილი

12 გვ.

tsu.media

ნატა ჩობანიძე თავის დასამკვიდრებლად სიმართლის ძიების პროცესშია

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი ნატა ჩობანიძე საკუთარი თავის ძიებაშია და ამ ეტაპზე ყველაზე მეტად სურს, რომ გააცნობიეროს – რისი კეთება სურს და რა გამოსდის. პატარა ასაკიდან ზუსტად იცოდა, რომ უნდოდა იმ ადამიანების ხმა ყოფილიყო, რომლებიც საზოგადოებაში არ ჩანან. სწორედ ამიტომ აირჩია ჟურნალისტიკის მიმართულება. „უკვე მესამე წელია ამ პროფესიას შევისწავლი, თუმცა დაზუსტებით ვერ ვიტყვი, რომ სწორ ადგილას ვარ. ჯერ კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი იმისთვის, რომ საკუთარი თავი ჟურნალისტიკაში ვიპოვო, უნივერსიტეტის გაზეთში სტაჟირება ამ გძელი გზის ერთ-ერთი ნაწილია“, – ამბობს ნატა, რომელმაც პრაქტიკული ჟურნალისტიკის კურსის გავლა გადაწყვიტა თსუ-ს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციაში.

რატომ აირჩია თსუ? – ამ კითხვაზე ნატა ჩობანიძეს კონკრეტული პასუხი არ აქვს: „ზუსტი პასუხი არ მაქვს იმაზე, თუ რატომ ავირჩიე თსუ. ყოველთვის აქ სწავლა მინდოდა, მხოლოდ ეს უნივერსიტეტი მეწერა გრაფაში და აქ მოვხვდი კიდეც. რაც შეეხება იმას, თუ რა მომცა თსუ-მ, პირველ ყოვლისა, ვიტყოდი – მომცა ურთიერთობები, ახალი ნაცნობები, სულ სხვა კუთხით დამანახა ცხოვრება, თუმცა ჯერ იმაზე დაზუსტებით ვერ ვილაპარაკებ – რა მომცა კურსმა, რადგან სწავლა არ დამიმთავრებია და, ვფიქრობ, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი“.

> **ნატა ჩობანიძეს არჩეული პროფესიის კუთხით მეტი პრაქტიკის გავლა სურს და დასაქმებისთვის მეტ ხელშეწყობას ელოდება უნივერსიტეტისგან.**

ნატა ჩობანიძეს არჩეული პროფესიის კუთხით მეტი პრაქტიკის გავლა სურს და დასაქმებისთვის მეტ ხელშეწყობას ელოდება უნივერსიტეტისგან.

იგი დღევანდელ ქართულ მედიასივრცეში თავის დამკვიდრებას რთულ ამოცანად მიიჩნევს, რადგან ხედავს არსებულ რეალობას. „დღევანდელი მედია საკმაოდ პოლარიზებული, მიკერძოებული და სუბიექტურია, რაც ჩვენს პროფესიას უქმნის საფრთხეს. დღევანდელი ჟურნალისტების უმეტესობა ჟურნალისტიკის პრინციპებს ღალატობს, რამაც მიგვიყვანა სავალალო შედეგამდე, იქამდე, რომ საზოგადოება მედიას აღარ ენდობა“, – ამბობს ნატა, რომელსაც სწორედ რომ არსებული ვითარება აბნევს მომავლის განსასაზღვრად.

ნატა პასუხისმგებლობის გრძნობას ზედმეტად მძაფრად აღვიქვამს, რაზეც თავად მიუთითებს და აცხადებს: „ვფიქრობ, პასუხისმგებლიანი ვარ ყველაფერთან მიმართებაში, რაც და ვინც ჩემ გარშემოა, იქნება ეს ადამიანები, ცხოველები, ბუნება თუ საქმე, რომელსაც ხელს ვკიდებ“. მისი ყოველდღიური საფიქრალი არც სამსახურს და არც გართობას უკავშირდება. როგორც ამბობს, ძირითადად, მისი ტვინი დაკავებულია ადამიანებით, რომელთაც ნატას დახმარება, ემოციური მხარდაჭერა და რჩევა სჭირდებათ.

თავისუფალ დროს უყვარს წერა, რაც საკუთარი თავის უკეთ გაცნობაშიც ეხმარება. მისი აზრით, სწორედ წერის დროს პოულობენ ადამიანები ჭეშმარიტ სიმართლეს, რაც, ზოგჯერ, სასიცოცხლოდ სჭირდებათ. ნატა ძიების პროცესშია და სიმართლის პოვნის მოლოდინში საკუთარ ძალებს მედიის ყველა სფეროში ცდის, რის შემდეგაც მომავლის კონტურებს გამოკვეთს.

თსუ-ს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციაში სტაჟირების კურსს - პრაქტიკული ჟურნალისტიკა - 9 სტაჟიორი გადის.

მარიამ გაფრინდაშვილი საზოგადოებისთვის უკეთესი რეალობის შექმნაში უკვე იღებს მონაწილეობას

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი მარიამ (მარიკო) გაფრინდაშვილი უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციის მიერ გამოცხადებულ სტაჟირების კურსს გადის და მეორად პროფესიად ჟურნალისტიკას ირჩევს. „ჟურნალისტიკა სიახლეების, კომუნიკაციის, ურთიერთობისა და მუდმივი განვითარების პროცესია. მისი შესწავლა ყველაზე მეტად იმიტომ მინდა, რომ ის ცოცხალი სფეროა, არ გაძლევს მოდუნების საშუალებას. დღეს ტექნოლოგიების ეპოქაში ვცხოვრობთ, რაშიც მედიის, ამავდროულად, ჟურნალისტიკის როლი დიდია. შესაბამისად, ეს სფერო გვეხმარება – აღმოვაჩინოთ ინოვაციები, საინტერესო ადამიანები და საკუთარ თავშიც ვიპოვოთ განსხვავებული ინტერესები. ცდილობ ბოლომდე ფეხი აუწყო ცხოვრების სწრაფ რიტმს და მთლიანად მისი ნაწილი გახდე“, – ამბობს მარიამ გაფრინდაშვილი, რომელიც საზოგადოების პოლარიზებაში დღევანდელი ქართული მედიის წვლილს ხედავს.

„საქართველოში, ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ცოცხალი სივრცე სწორედ მედია სივრცეა. გვყავს უამრავი პროფესიონალი ჟურნალისტი, რომელთა ღვაწლიც დიდია. მაგრამ აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ დღეს მედია სივრცის გარკვეული ნაწილი საკმაოდ მიკერძოებული და პოლიტიზირებულია. საზოგადოებისათვის არსებობს ორი პოლუსი და თითქოს შუალედური პოზიცია და კრიტიკულად განსჯის შესაძლებლობა იკარგება. ამიტომ საჭიროა მეტი ჯანსაღი პათოსი და საზოგადოებრივი აზრის გაერთიანება, რა კუთხითაც მედიას დიდი გარდატეხის შეტანა შეუძლია“, – ასეთია მარიამ გაფრინდაშვილის მოსაზრება.

მარიამ გაფრინდაშვილი უნივერსიტეტისგან მუდამ ეძებს სიახლეებს, რათა მისთვის მისაღებ ყველა აქტივობაში ჩაერთოს.

> **მეტი გამოცდილებისა და ცოდნის შეძენის შემდეგ, ფიქრობს, რომ უკეთ ეცოდინება – სად მოისურვებს დასაქმებას. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ ადგილი, სადაც საკუთარ თავს მოიაზრებს, ემსახურებოდეს საზოგადოებისათვის უკეთესი რეალობის შექმნას.**

თსუ-ში სწავლა იმიტომ აირჩია, რომ პროფესიონალებთან ურთიერთობა ჰქონდეს. „მახსოვს, როდესაც მე-9 კლასში ვიყავი, სკოლის მასწავლებელმა თსუ-ში წაგვიყვანა ექსკურსიაზე. გვიყვებოდა – თუ რაოდენ დიდი ისტორიის მატარებელი იყო უნივერსიტეტი, ვინ სწავლობდა და მოღვაწეობდა ამ კედლებში... ზოგადად, დეტალები იშვიათად მამახსოვრდება ხოლმე, მაგრამ იმ დღეს რა მეცვა, ისიც კი მახსოვს. ზამთარი იყო, ციოდა, მე კი დიდი ლურჯი ქურთუკით შევაბიჯე უნივერსიტეტში და, პირველ რიგში, ის გამიხარდა, რომ უნივერსიტეტის ლოგოზე დომინანტი ფერი ლურჯი იყო. ერთ-ერთი აუდიტორიის წინ, ღია კარში დავინახე სტუდენტები და საინტერესოდ მოსაუბრე ლექტორი. გავიფიქრე, მალე მეც აქ უნდა ვიჯდე-მეთქი. ყველა სხვა მიზეზთაგან, თუ რატომ ავირჩიე თსუ, ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს დღეც იყო. უნივერსიტეტმა მომცა, პირველ რიგში, საკუთარი საქმის პროფესიონალებთან ურთიერთობის შესაძლებლობა, რამაც დიდი გამოცდილება და ცოდნა შემძინა, როგორც საკუთარ სპეციალობაში, ისე ზოგად ცხოვრებისეულ საკითხებში. აღმოვაჩინე უამრავი საინტერესო ადამიანი და გამორჩეული ლექტორი. საკუთარ თავშიც ვიპოვე ახალი ინტერესები და მისწრაფებები“, – აცხადებს მარიამ გაფრინდაშვილი.

მარიამს, როგორც ჩანს, სხვადასხვა ინტერესები აქვს და სამომავლოდ სად დასაქმდება, ჯერ არ იცის. ბავშვობიდან სცენარებსაც წერდა და შემდეგ მეგობრებს როლებს არგებდა, პარალელურად კი იღებდა ვიდეოს და ამონტაჟებდა კიდეც. „დღესაც ადამიანებს, უცხოს თუ ნაცნობს, გარკვეულ როლს ვარგებ ხოლმე და ჩემს წარმოსახვით ფილმში ვათამაშებ. გასაკვირი არ არის, რომ ირვინგ გოფმანი ჩემთვის გამორჩეული სოციოლოგია. რა ლიტერატურასაც კი წავიკითხავდი, მაშინვე მისი გადაღება და ჩემი ფანტაზიის ცხადად წარმოჩენა მინდებოდა. მახსოვს, დიდი ნაკრები მქონდა ჩემი „ფილმების“. აქედან გამომდინარე, რეჟისურა მიტაცებს. მიყვარს გადაღების პროცესი. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტმა“ იმის შესაძლებლობაც კი მომცა, რომ ერთ-ერთი ქართული ფილმის გადაღებას დავსწრებოდი და ეპიზოდური როლიც მომერგო. უსაზღვროდ საინტერესო და მრავალფეროვანი სფეროა. შენს ფიქრებსა და ხედვებს აცნობ ადამიანებს და შემდეგ ისმენ მათ აზრებს, შეფასებებს. ფილმების ყურებაც ჩემთვის ერთი დიდი სიამოვნებაა. მათი კრიტიკული ანალიზიც ძალიან მიყვარს“, – ამბობს მარიამი.

მეტი გამოცდილებისა და ცოდნის შეძენის შემდეგ, ფიქრობს, რომ უკეთ ეცოდინება – სად მოისურვებს დასაქმებას. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ ადგილი, სადაც საკუთარ თავს მოიაზრებს, ემსახურებოდეს საზოგადოებისათვის უკეთესი რეალობის შექმნას.

სტუდენტური თვითმმართველობის ახალი პრეზიდენტის **კახა კუჭუხიძის** სამომავლო გეგმები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 29 ოქტომბერს რიგით VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ახალი პრეზიდენტი აირჩიეს. 140 დელეგატიდან, რომელიც 7 ფაკულტეტიდან იყო წარმოდგენილი, 96 ხმით პრეზიდენტად აირჩიეს კახა კუჭუხიძე, ხოლო ვიცე-პრეზიდენტები გახდნენ დავით ნებიერიძე და ლუკა ტაბიძე. სტუდენტური თვითმმართველობის ახალი პრეზიდენტი კახა კუჭუხიძე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და ტურიზმის გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტი გახლავთ. რა გეგმები აქვს ახალ პრეზიდენტს? – გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ კახა კუჭუხიძე ესაუბრა.

„ზოგადად, პრეზიდენტის პასუხისმგებლობაზე რომ ვისაუბროთ, როცა ზურგს უკან გიდგას 400-დან 500 ადამიანამდე, რომელიც შენგან იღებს მითითებებს, პირველ ყოვლისა, საჭიროა ლიდერული თვისებები, რათა ამ ადამიანებს მისცე სწორი მიმართულება, შეამჩნიო მათი ინტერესები და შესაძლებლობები, იმისათვის, რომ მათი უნარები განავითარო და სწორი ადგილი აპოვნინო; ასევე, უნდა იყო მაგალითი, როცა ეს ადამიანები შემოგხედავენ, მიხვდნენ, რომ მათაც შეუძლიათ მსგავს წარმატებას მიაღწიონ. საბოლოო ჯამში კი, ეს აღებული მაგალითი საერთო საქმეს უნდა გამოადგეს. სტუდენტური თვითმმართველობის სახელი უნივერსიტეტის სახელიცაა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ, საქართველოს მასშტაბით, პირველ უნივერსიტეტს ჰყავს პირველობით გამორჩეული სტუდენტური თვითმმართველობა, რადგან წელიწადში ამდენ პროექტს არცერთი უნივერსიტეტის თვითმმართველობა არ ახორციელებს.

ჩვენ ვდგებით დიდი გამოწვევის წინაშე, როცა მასშტაბური დონის პროექტებს ვკიდებთ ხელს, რადგან გვინდა, რომ ხარისხიანად და მაღალ დონეზე შევასრულოთ დასახული მიზნები.

ჩემმა წინამორბედებმა – ალექსანდრე გაბაშვილმა და საბა ლოლაძემ, რაც შეძლეს და გააკეთეს, იყო სასწაული – ნულიდან მოიყვანეს თვითმმართველობა აქამდე და, ასე რომ ვთქვათ, წელში გამართული დაგვახვედრეს ეს ორგანიზაცია. ჩვენი მთავარი მიზანია – გავაკეთოთ უფრო მეტი! დარწმუნებული ვარ, ალექსანდრეც და საბაც იამაყებენ ჩვენით... ჩვენ გეგმაში გვაქვს უფრო მაღალი დონის პროექტების განხორციელება, რათა ჩვენი სახელი ქვეყნის გარეთაც გავრცელდეს და მხოლოდ უნივერსიტეტის ფარგლებში არ ჩავიკეტოთ. გაზაფხულის სემესტრიდან კიდევ უფრო მასშტაბურ პროექტებს ვგეგმავთ. ახლა უკვე გვაქვს ორი ახალი ინოვაციური პროექტი, რომელიც მალე ჩაეშვება და სტუდენტებიც გაიგებენ ამის შესახებ. გაზაფხულიდან მართლაც რომ უფრო ბევრ სიახლეს გპირდებით“, – ამბობს კახა კუჭუხიძე.

ჩვენ ვდგებით დიდი გამოწვევის წინაშე, როცა მასშტაბური დონის პროექტებს ვკიდებთ ხელს, რადგან გვინდა, რომ ხარისხიანად და მაღალ დონეზე შევასრულოთ დასახული მიზნები.

კახა კუჭუხიძე, უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ, როცა ჯერ კიდევ პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით სწავლობდა, სრულიად შემთხვევით მოხვდა სტუდენტურ თვითმმართველობაში. მას დააინტერესა – სტუდენტთა ნაწილის მხრიდან რატომ იყო ნეგატიური განწყობები ამ ორგანიზაციის მიმართ და უნდოდა, საკუთარი გამოცდილებით შეეფასებინა სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობა. თავიდან კულტურის დეპარტამენტის ერთ-ერთი რიგითი წევრი იყო, შემდეგ კი ამავე დეპარტამენტის თავმჯდომარე გახდა, როცა წინამორბედმა პოსტი დატოვა. მას სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც შესთავაზეს და, შემდეგ უკვე, 2023 წლის 7 ივნისს ჩატარებული არჩევნების შედეგად გახდა მეორე ვიცე-პრეზიდენტი. დღეს, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, კახა კუჭუხიძე დარწმუნებით აცხადებს, რომ ის ნეგატიურ აზრი, რომელიც სტუდენტებში ტრიალებს ამ ორგანიზაციის მიმართ, სათავეს იღებს ინფორმაციის სიმწირისგან – თუ რას აკეთებს რეალურად სტუდენტური თვითმმართველობა.

„როცა უნივერსიტეტში 24 000-მდე სტუდენტია, ყველასთვის მოსაწონ საქმეს ვერ გააკეთებ. თანაც მათ სრული ინფორმაცია არ აქვთ ჩვენს შესახებ. ჩვენ მხოლოდ ორგანიზაცია არ ვართ. ჩვენი მთავარი მოტივაცია და ძალა, რითაც ვაკეთებთ საქმეს, არის ჩვენი ურთიერთობები, ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, პატივისცემა, მეგობრობა, სიყვარული, რომელიც ამ ორგანიზაციაში ტრიალებს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ არავის არ აქვს ხელფასი, რაიმე პრიორიტეტი და სარგებელი... ჩვენთან, უბრალოდ, ერთმანეთის სიყვარულით, პატივისცემით და გვერდში დგომით კეთდება ის საქმეები, რაც სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას და გალამაზებას ემსახურება“, – აღნიშნავს კახა კუჭუხიძე.

ნატა ჩოგანიძე

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი

რა სურვილები აქვთ სტუდენტებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან დაკავშირებით?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მუშაობასთან დაკავშირებით ხშირად მოვისმენთ არაერთ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას. საინტერესოა, თუ რა სურვილები აქვთ თსუ-ს სტუდენტებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან დაკავშირებით, რომელ ძირითად პრობლემებს გამოკვეთენ და რის მოგვარებას ისურვებენ. ამ საკითხზე არაერთმა სტუდენტმა გაგვიზიარა თავისი აზრი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტს **ნინო მაზმიაშვილს** სურს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსს ჰქონდეს საკუთარი კაფეტერია. მისი აზრით, ეს სურვილი ბევრ სტუდენტს აქვს და მისი სისრულეში მოყვანაც არ უნდა იყოს რთული.

ნინო, ასევე, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია იმ კონფერენციებისა თუ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნივერსიტეტში იმართება. „მესმის, რომ არსებობს თსუ-ს ოფიციალური გვერდი, სადაც განთავსებულია სიახლეები ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ, ჩემი აზრით, უნივერსიტეტში უნდა მოეწყოს ადგილი, სადაც სიახლეებს შეიტყობენ სტუდენტები. ბევრი საინტერესო პროექტი გამართულა უნივერსიტეტში და ისე ჩაუვლია, რომ მე, პირადად, ვერ გამიგია ამის შესახებ, სამწუხაროდ“, – აღნიშნა მან. მისი აზრით, სტუდენტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ადმინისტრაციამ აქტიურად უნდა გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საინტერესო ღონისძიების შესახებ.

ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტის **ლიზა ჩანადირის** სურვილია, რომ მეტად იყოს მოწესრიგებული სასწავლო ცხრილი, რათა სტუდენტს არ უწევდეს მთელი დღის განმავლობაში ლექცია-სემინარებზე ყოფნა. ამავდროულად, მისთვის მნიშვნელოვანია მეტად გამარტივდეს და მოსახერხებელი გახდეს საგნების რეგისტრაციის პროცესი.

მეორეკურსელი **ნიკოლოზ მელუხასთვისაც**, რომელიც ისტორიის მიმართულებაზე სწავლობს, მთავარ პრობლემას წარმოადგენს საგნების არჩევის პროცესის შეფერხებით მიმდინარეობა, რაც დროში იწელება და მას დიდ დისკომფორტს უქმნის.

გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტების შეგროვების პროცესში ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერისა და ჩართულობის სურვილს გამოთქვამს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი **ნინო ოტიაშვილი**.

ისტორიის მიმართულების პირველი კურსის სტუდენტი **სალომე სხირტლაძე** საუბრისას იმ ძირითად საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებსაც პირველკურსელი უნივერსიტეტში ჩაბარებისას ხვდება. როგორც თავად აღნიშნავს, მთავარი პრობლემა პირველკურსელთათვის საჭირო ინფორმაციის ნაკლებობაა. სალომე ამბობს, რომ სასწავლო პროცესში მარტივად ჩასართავად და საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად პირველკურსელებს ხშირად უწევთ დასახმარებლად უფროსკურსელებს მიმართონ. სწორედ ამიტომ, მას სურს, რომ ადმინისტრაციამ იზრუნოს პირველკურსელების საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფაზე, რათა არ უწევდეთ მათ მუდმივად გაურკვევლობაში ყოფნა.

LMS-ის გაუმართაობა და შეფერხებით მუშაობა არის ის ძირითადი პრობლემა, რომელსაც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი **ნიკოლოზ ბურხატი** ასახელებს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მყოფი პირველკურსელი **ცოტნე ქარდავასთვის** კი მნიშვნელოვანია დაიგეგმოს ისეთი სამეცნიერო ღონისძიებები, რომლებში ჩართვის შესაძლებლობაც ექნებათ თავად სტუდენტებს.

„ადმინისტრაციისგან რასაც ვისურვებდი, იქნებოდა ყოველკვირეული, ყოველთვიური შეხვედრები სტუდენტებთან და იმ პრობლემების წინ წამოწევა, რომლებიც სტუდენტებს აწუხებთ“, – აღნიშნა პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სტუდენტმა **ჯიმი ნიჟარაძემ**. მისთვის ადმინისტრაციის „კარჩაკეტილობა“ ქმნის ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას. ხშირი კომუნიკაცია, მნიშვნელოვან საკითხებსა თუ უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებზე საუბარი, მისი აზრით, დადებითი შედეგის მომტანი იქნება და გაამარტივებს როგორც სტუდენტთა ცხოვრებას, ისე ადმინისტრაციის მუშაობას.

მარიამ ბალხამიშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი

რატომ მიიჩნევენ სტუდენტები მწვავე პრობლემად დამეგობრების თემას?

სოციალურ ქსელებში ხშირად ვრცელდება პირველკურსელების პოსტები, სადაც ისინი მეგობრების მოძებნის სურვილს გამოთქვამენ. მეგობრის პოვნის რა პრობლემას ქმნის საუნივერსიტეტო ცხოვრება და რამდენად სტრესულია სტუდენტებისთვის სწავლის პირველი წელი?

ახალ და უცხო გარემოში ადაპტაცია ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც ახლახან სკოლა დაამთავრეს და მოსწყდნენ ნაჩვევ ადგილს, სადაც თორმეტი წელი გაატარეს, ნამდვილად რთულია. დატვირთული აბიტურიენტობის ეტაპის შემდეგ უნივერსიტეტში მოხვედრა, სადაც სკოლისგან განსხვავებული გარემოა, ბუნებრივია, პირველკურსელებში იწვევს სტრესს. მათ უჩნდებათ ათასი კითხვა, რომელთა დასმისაც ერიდებათ; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – არ ჰყავთ მეგობრები, რომლებიც მარტივად გადაატანინებენ მიჩვევის პროცესს. სწავლის პირველ წელს ყველაზე რთულია გაითავისო და მოერგო ადგილს, რომელიც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მეორე სახლივითაა.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის პირველკურსელ **გვანცა გედენიძისთვის** ახლა უნივერსიტეტში სწავლის პირველი კვირებია, იგი ახლაც შეგუების პროცესშია და აღნიშნავს, რომ ამ პერიოდს მართლაც ახლავს სტრესი: „სულ მესმოდა უფროსებისგან, რომ უნივერსიტეტში გაჩენილი მეგობრები ძალიან ძვირფასები არიან და ეს წლები საუკეთესოა, მაგრამ დაწყებისთანავე მივხვდი, რომ არც ისე მარტივია ამდენ სტუდენტში დაუახლოვდე ადამიანებს და გაიჩინო მეგობრები. ზოგი ერთმანეთს უკვე იცნობს და ურჩევნიათ ისევ ერთმანეთთან იყვნენ, ვიდრე ახალ ადამიანებს დაუახლოვდნენ“, – ამბობს გვანცა. გვანცას გაუმართლა, რადგან თავის რამდენიმე კლასელთან ერთად ჩაირიცხა სამართლის მიმართულებაზე. უცხო გარემოში ახლო ადამიანების დანახვა და მათი გვერდში დგომა მას აძლიერებს. ყოველთვის, როდესაც ადამიანების ცხოვრებაში რაიმე ახალი ეტაპი იწყება, ისინი ფიქრობენ და ნერვიულობენ გამოწვევებზე, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, დაძლევადია, მაგრამ დიდი ბედნიერებაა, როცა რთულ ეტაპებს მეგობრებთან ერთად გადიხარ. „როდესაც უნივერსიტეტში ჩემი მეგობრები არ მხვდებიან და მარტო ვარ, მაშინ რთულია ახალი ადამიანების გაცნობა, რადგან ვფიქრობ – ერთგვარი კომპლექსი გვაწუხებს ჩვენს თაობას ახალი ადამიანების გაცნობის, თუმცა, უნივერსიტეტი სწორედ ამაში გვეხმარება, რომ უფრო გახსნილები და თამამები ვიყოთ“, – ამბობს გვანცა.

უნივერსიტეტში წელს პირველკურსელებისთვის გაცნობითი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც თსუ-ს რექტორი ჯაბა სამუშიაც ესწრებოდა. მიუხედავად უნივერსიტეტისგან გადმოდგმული ამ ნაბიჯისა, სამწუხაროდ, სოციალურ ქსელებში პირველკურსელების მიერ განთავსებულ პოსტებს მაინც ხშირად ვაწყდებით. ისინი წერენ, რომ არ ჰყავთ მეგობრები, ვერ უმეგობრდებიან კურსელებს და მათთვის ეს პრობლემა იმდენად რთულ ფორმას იღებს, რომ უნივერსიტეტში სიარულიც კი აღარ სურთ.

ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე – არსებული საგანმანათლებლო პროცესი, რაც ჯგუფელის და კურსელის ყოლას გამორიცხავს, ხომ არ უშლის ხელს სტუდენტებს – მეგობრები გაიჩინონ? – უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი **თამარ ვეფხვაძე** გვპასუხობს: „სასწავლო პროცესის სხვაგვარად ორგანიზება ჩვენს უნივერსიტეტში, ისევე, როგორც მსოფლიოს მასშტაბით დიდ უნივერსიტეტებში, წარმოუდგენელია. თქვენ კარგად იცით, რომ ასეთ დიდ უნივერსიტეტებში, როგორიც ჩვენი უნივერსიტეტია, სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის სისტემა არსებობს და სტუდენტისთვის მინიჭებული ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფუძემდებლური უფლება – ეს არის სწორედ ის, რომ მას შეუძლია თვითონ გაუკეთოს ადმინისტრირება საკუთარ კურიკულუმს. როდესაც ეს უფლება აქვს სტუდენტს, ცხადია, ამ დიდ კონგლომერატში ჯგუფის განცდა ვერ იქნება, რადგან სტუდენტი შეიძლება რაღაც ჯგუფს სტუდენტებისა მხოლოდ კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში ხვდებოდეს. მე პრობლემას პირადი ურთიერთობების სოციალური ქსელების მოხმარებით ჩანაცვლებაშიც ვხედავ. თუკი სტუდენტები სოციალიზაციის წყურვილს გაჯეტებით და სოციალური ქსელებით ივსებენ, უკვე დროც ნაკლები რჩებათ, რომ პირადი კონტაქტები ჰქონდეთ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, აუცილებელია სტუდენტური თვითმმართველობის როლის გაძლიერება, რომელსაც შეუძლია გარკვეული ღონისძიებების რიცხვი და მასში სტუდენტების ჩართულობის მოტივაცია გაზარდოს. ასეთი მიდგომა სტუდენტების სოციალიზაციას ხელს შეუწყობს. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბაღი, ბიბლიოთეკა და ის სტუდენტური სივრცეები, რომლებიც ახლა ეწყობა (ჩვენ ვხედავთ, რომ კორპუსებში ძალიან კომფორტული მრავალი ზონა გაჩნდა ჩვენი ახალგაზრდებისთვის), სტუდენტს ლექციებს შორის თავისუფალი დროის ამ ადგილებში გატარების საშუალებას აძლევს, სადაც შეიძლება მომავალი მეგობრები გაიცნონ“.

თამარ ვეფხვაძე

ეკატერინე ფირცხალავა

> **„სტუდენტებს, რომლებიც განიცდიან ფსიქოლოგიურ და ემოციურ პრობლემებს, ცენტრი მათ დაეხმარება. მათ ასევე შეუძლიათ ცენტრს მიმართონ მაშინაც, როდესაც აქვთ სხვადასხვა ტიპის ინტერპერსონალური პრობლემები, ვერ პოულობენ მეგობრებს, თავს მარტოსულად გრძნობენ. ცენტრის პერსონალი სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით დაეხმარება სტუდენტებს ამ პრობლემების დაძლევაში, რაც მნიშვნელოვანია მათი კარგად ყოფნისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის“, – აღნიშნავს ქალბატონი ეკატერინე.**

> **ასე რომ, გამოსავალი არსებობს, თუკი სტუდენტები ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ინფორმაციას გაიაზრებენ და ყველა იმ სიკეთეს აითვისებენ, რასაც უნივერსიტეტი მათ სთავაზობს.**

ჩვენ მიერ წამოჭრილ პრობლემაზე ვესაუბრეთ, ასევე, თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ **ეკატერინე ფირცხალავას**, რომელიც პრობლემის მიზეზებზეც მიუთითებს: „სტუდენტებს ერთმანეთთან დამეგობრებაში ხელს შეუწყობს მათი საერთო ინტერესები და შეხედულებები, რის შემდეგაც დაახლოება და დამეგობრება უფრო მარტივი იქნება. ასევე არის შემთხვევები, როდესაც ისეთ კურსელთან დამეგობრება, რომელიც კარგად სწავლობს, ძირითადად, მრავალი სტუდენტის ინტერესია ხოლმე. სტუდენტები, რომლებიც ინტროვერტები არიან, რა თქმა უნდა, ახასიათებთ ჩაკეტილობა და ესეც ერთგვარი მიზეზია, რატომაც არის შესაძლებელი, რომ მათ უჭირდეთ დამეგობრება“, – აღნიშნავს ეკატერინე ფირცხალავა, რომელიც გვამცნობს, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი ფუნქციონირებს.

„სტუდენტებს, რომლებიც განიცდიან ფსიქოლოგიურ და ემოციურ პრობლემებს, ცენტრი მათ დაეხმარება. მათ ასევე შეუძლიათ ცენტრს მიმართონ მაშინაც, როდესაც აქვთ სხვადასხვა ტიპის ინტერპერსონალური პრობლემები, ვერ პოულობენ მეგობრებს, თავს მარტოსულად გრძნობენ. ცენტრის პერსონალი სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით დაეხმარება სტუდენტებს ამ პრობლემების დაძლევაში, რაც მნიშვნელოვანია მათი კარგად ყოფნისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის“, – აღნიშნავს ქალბატონი ეკატერინე.

გამოსავლის ძიებაში ჩვენ ისეთ სტუდენტსაც გადავაწყდით, რომელსაც უნივერსიტეტისადმი წინასწარი მოლოდინები გაუმართლდა და ჩვენთან საუბრისას თანატოლებისათვის რჩევის მიცემით შემოიფარგლა: „თუ გსურთ, რომ უნივერსიტეტში მეგობრები გაიჩინოთ, აუცილებლად გადადგით პირველი ნაბიჯები მათთან ურთიერთობისას და ეცადეთ კომუნიკაცია დაამყაროთ, რადგან შესაძლოა სწორედ ისინი ელოდებიან თქვენგან ინიციატივას“, – გვითხრა თსუ-ს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პირველკურსელმა **ბათო ტეფნაძემ**, რომლისთვისაც პირველი დღე უნივერსიტეტში ისეთი აღმოჩნდა, როგორსაც ელოდა.

ასე რომ, გამოსავალი არსებობს, თუკი სტუდენტები ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ინფორმაციას გაიაზრებენ და ყველა იმ სიკეთეს აითვისებენ, რასაც უნივერსიტეტი მათ სთავაზობს.

ანი მამისაშვილი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტი

რა მომსახურებას ელოდება რიგში მდგომი 40-მდე სტუდენტი თსუ-ს სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრისგან?

ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ სტუდენტური ფსიქოლოგიური სახის პრობლემების დასაძლევად თსუ-ში სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი არსებობს, რომელიც ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჯერ კიდევ 2018 წლიდან ფუნქციონირებს. საწყის ეტაპზე და პანდემიის დროს ფსიქოლოგიური კონსულტაციები ონლაინ რეჟიმით მიმდინარეობდა. ცენტრი ზრუნავს სტუდენტთა ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და მათი პოტენციალის განვითარებაზე.

2021 წლის იანვრიდან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაიწყო ახალი პროექტი: „ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების შექმნა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში“ (Establishment of Psychological Counselling Centers at Georgian HEIs for Students – E-PSY, N617980-EPP-1-2020-1-G-EPPK2-CBHE-SP). აღნიშნული პროექტი ხორციელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით ერაზმუს + პროგრამის (Capacity Building in a Field of Higher Education) ფარგლებში. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი და მის ფარგლებში არსებული ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი მონაწილეობს ამ პროექტში, როგორც კონსორციუმის წევრი.

სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრს თსუ-ში ნეიროფსიქოლოგი, თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი თამარ გაგოშიძე ხელმძღვანელობს, რომელიც ცენტრის მომსახურების მიზნებსა და პირობებზე გვესაუბრება.

სტუდენტებს, მსოფლიოს მასშტაბით, ხშირად აქვთ ჩივილები ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ეს ჩივილები საკმაოდ მრავალფეროვანია, მათ შორისაა, შფოთვითი აშლილობა, დეპრესია, სოციალური ურთიერთობების დამყარების პრობლემები... გამონაკლისები არც ქართველი სტუდენტები არიან. მსგავსი პრობლემებით თსუ-ში შექმნილ ცენტრს უკვე არაერთი ახალგაზრდა მიმართავს.

ცენტრს აქვს „ფეისბუქ“ გვერდი (იხილეთ ბმული: https://www.facebook.com/TSUpsy/), რომელსაც ოპერატორი მართავს. მისი მეშვეობით ხდება ფსიქოლოგიური დახმარების მსურველ სტუდენტთა სიის ფორმირება.

ეს არ არის ერთჯერადი კონსულტაცია, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ გაიარონ 6 ფსიქოლოგიური სესია, ცხადია, უფასოდ.

„მეტი ცნობადობისა და ხელმისაწვდომობისთვის, ჩვენი და თსუ-ს ადმინისტრაციის თანამშრომლობით, LMS-ის პორტალზე ნებისმიერი მიმართულების სტუდენტს ეგზავნება ცნობა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრიდან“, – ამბობს თამარ გაგოშიძე. მისი ინფორმაციით, პროექტის გაფართოების ფარგლებში გამოიყო სივრცეები, რომელიც აღიჭურვა ფსიქოლოგიური სესიების ჩასატარებლად საჭირო ტექნიკით, გადამზადდნენ და ტრენინგები ჩაუტარდათ ფსიქოთერაპევტებსა და კონსულტანტებს.



თამარ გაგოშიძე

ჩვენს რესპონდენტთან საუბრისას ერთი ყველაზე მთავარი ფაქტი და განწყობა იკვეთება – მას სურს, რომ ახალგაზრდები, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად საჭიროებენ ფსიქოლოგიურ დახმარებას, პროფესიონალი, კომპეტენტური კადრების ხელში აღმოჩნდნენ.

„ამ ცენტრის კიდევ ერთი დადებითი მხარე ზუსტად ეს იქნება: გადამზადდებიან კადრები, რომლებმაც უნდა იზრუნონ ახალგაზრდების მენტალურ კეთილდღეობაზე. სწორედ ამ მიზნით ჩვენ უკვე ვმუშაობთ დოკუმენტაციაზე, რათა დაწესდეს ერთგვარი ხარისხი ფსიქოლოგიური მომსახურების კუთხით“, – აღნიშნავს თამარ გაგოშიძე, რომელიც ცალსახად მიუთითებს ამ სფეროში ხშირად ფსიქოლოგად წოდებული ადამიანების საქმიანობის უკონტროლობაზე საქართველოში.

გარდა იმისა, რომ ამჟამად ფსიქოლოგიური მომსახურების მსურველი 40 სტუდენტი ელოდება რიგის მიხედვით მინიჭებულ სესიას, ცენტრი კვლავ განაგრძობს მუშაობას. თამარ გაგოშიძის თქმით, წლის ბოლოს მათ უკვე ექნებათ ლიტერატურა, ტესტები და ინსტრუმენტები, რომლითაც უფრო მარტივად მოხერხდება ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროების მქონე ინდივიდთა მდგომარეობის გაუმჯობესება. მთავარი იქნება ის, რომ უცხოურ გამოცდილებასთან ერთად, ეს ლიტერატურა აუცილებლად მოიცავს და მოერგება ქართულ რეალობას.

* * *

განსაკუთრებით სასარგებლო და გამოსადეგი ეს ცენტრი პანდემიის პერიოდში აღმოჩნდა სტუდენტებისთვის. სესიებთან ერთად ჩატარდა ტრენინგები სტრესის მართვასთან, დროის მენეჯმენტთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ფსიქოლოგიური პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, თამარ გაგოშიძე პანდემიისას ახალგარდების მკვეთრად გაუარესებულ მდგომარეობას უსვამს ხაზს, რასაც თან ერთვის ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე დამოკიდებულება.

„შექმნილმა რეალობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ იზოლაცია ადამიანისა და მისი სოციალური ურთიერთობებისათვის დამღუპველია“, – აღნიშნავს თამარ გაგოშიძე, რომლის იდეის განხორციელებამ, პროფესიულმა გამოცდილებამ და მსოფლიო მაგალითების გაანალიზებამ ცენტრს უკვე თავისი იმიჯი შესძინა.

ნინო ჯანჯალაშვილი

თსუ-ს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი

ნინი ჩარკვიანის შეფასებები – რა განსხვავებაა საზღვარგარეთ სწავლებასა და თსუ-ში სწავლებას შორის?

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტი ნინი ჩარკვიანი ჩარლზის უნივერსიტეტში (პრაღა, ჩეხეთი) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლობს.

როგორც ნინი ჩარკვიანი აცხადებს, ათზე მეტ ქვეყანაში იმყოფებოდა მოკლევადიანი საგანმანათლებლო თუ სამოგზაურო მიზნებით, თუმცა მთელი სემესტრით სხვა ქვეყანაში „გადაბარგება“ მისთვის სრულიად ახალი გამოწვევა აღმოჩნდა. „გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ოჯახისგან ცალკე ცხოვრებამ უფრო დამოუკიდებელი გამხადა. უფრო მეტად დავინახე სხვადასხვა დავალებაზე დროის სწორად განაწილების საჭიროება და ამ მხრივ ჩემ თავზე ვმუშაობ. უცხოელი მეგობრების შეძენა და პრაღის ულამაზესი არქიტექტურით ტკბობა კი ჩემი აქაური გამოცდილების საუკეთესო ნაწილია“, – ამბობს ნინი.

რა განსხვავებაა საზღვარგარეთ სწავლებასა და თსუ-ში სწავლებას შორის? – ჩვენ მიერ ამ საკითხით დაინტერესებას ნინი ასე ეხმაურება: „ჩარლზის უნივერსიტეტში ლექციები თსუ-სთან შედარებით უფრო მეტად ინტერაქციულია, სემინარებიც და დავალებებიც უფრო მეტად ანალიტიკაზეა ფოკუსირებული. აქ დავრწმუნდი, რომ თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სკოლაც სწავლების საკმაოდ მაღალ ხარისხს გვთავაზობს, თუმცა, ჩარლზის უნივერსიტეტში თსუ-ზე ბევრად მრავალფეროვანი და მრავალმხრივია იმ საგნების ჩამონათვალი, რომელთა გავლაც საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტს შეუძლია. საგნები, რომლებსაც ამ სემესტრში გავივლი, შეეხება საერთაშორისო მიგრაციებს, ვიშეგრადის ქვეყნების პოლიტიკას, ბალტიისპირეთის ქვეყნების თანამშრომლობას, ამერიკის საგარეო პოლიტიკასა და ადამიანის უფლებებს პოსტ-საბჭოთა სივრცეში“.

ნინი ჩარკვინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩარლზის უნივერსიტეტი გამოირჩევა გამართული ინფრასტრუქტურით – ყველა აუდიტორია აღჭურვილია პროექტორითა და სწავლებისთვის საჭირო სხვა საშულებებით. გაცვლით პროგრამაში მონაწილე

სტუდენტი თავის შთაბეჭდილებებსაც გვიზიარებს და ამბობს: „პრაღის უმშვენიერესი ქუჩები და ხიდები მთელ მსოფლიოში განთქმულია. ჩემზე პირველი შთაბეჭდილებაც ამან მოახდინა. ჩარლზის ხიდიდან გავყურებ ხოლმე მთელს ქალაქს და მზის ჩასვლის ელფერები სულ მაოცებს. ღამით ლამპიონების შუქით განათებული პრაღაც ასეთივე ლამაზია, მთელი თავისი ისტორიულობითა და ქანდაკებებით. ჩემში ერთგვარ სიამაყის განცდას იწვევს, როცა ვიაზრებ, რომ უძველეს, მე-14 საუკუნეში დაარსებულ უნივერსიტეტში ვსწავლობ; იმ შენობაში მიტარდება ლექციები, სადაც ფრანც კაფკა, რაინერ მარია რილკე, ნიკოლა ტესლა და მეცნიერების, ხელოვნებისა თუ პოლიტიკის სხვა ცნობილი მოღვაწეები სწავლობდნენ“.

თსუ-ში ისტორიის კლუბი „სამანი“ დაფუძნდა, რომლის ორგანიზატორები თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების სტუდენტები არიან. სტუდენტური ინიციატივის მიზანია თსუ-ს ბაზაზე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების ორგანიზება. მასში გაწევრიანება ისტორიით დაინტერესებულ ყველა პირს შეუძლია. კლუბის საქმიანობის ფარგლებში განხორციელდება ისეთი საგანმანათლებლო პროექტები, როგორიცაა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების, სამეცნიერო ექსპედიციების გამართვა, ყოველწლიური სამეცნიერო პოპულარული ჟურნალის გამოცემა, ისტორიის ბლოგის შექმნა, სადაც ყოველ კვირას სხვადასხვა ისტორიკოსსა და ისტორიულ ფაქტზე ინფორმაცია გამოქვეყნდება. თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ სტუდენტებს კლუბის დაარსება მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა. მან ისტორიის კლუბ „სამანის“ ორგანიზატორებს თემის პოპულარიზაციასა და განვითარებაში სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

სტუდენტური ქრონიკა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სტუდენტური კლუბი „ილია“ დაარსდა, რომელიც აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს თსუ-ს სტუდენტებს.

სტუდენტური ინიციატივის მიზანია თსუ-ს ბაზაზე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების ორგანიზება. მასში გაწევრიანება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შვიდივე ფაკულტეტის სტუდენტებს შეეძლებათ.

კლუბის საქმიანობის ფარგლებში განხორციელდება ისეთი საგანმანათლებლო პროექტები, როგორიცაა საჯარო ლექციები, სტუდენტური ექსპედიციები, სტუდენტური და საერთაშორისო კონფერენციები, ვორქშოფები და სადისკუსიო ფორმატის შეხვედრები, საზაფხულო და ზამთრის თემატური სკოლები.

დემეტრე აბესაძე: მზად ვარ გავხდე ჩემი ფაკულტეტის სტუდენტთა ინტერესების გამხმოვანებელი

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი დემეტრე აბესაძე ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი სტუდენტური თვითმმართველობით პირველივე კურსიდან დაინტერესდა, მსგავსი აქტივობებით კი სკოლის პერიოდიდანვე იყო გატაცებული. მისი აზრით, სტუდენტურ თვითმმართველობას შეუძლია სტუდენტური ცხოვრება, სწავლასთან ერთად, სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, საქველმოქმედო თუ გასართობი ღონისძიებით მეტად მრავალფეროვანი გახადოს. დემეტრე აბესაძისათვის სტუდენტური თვითმმართველობა დაფუძნებულია სტუდენტებს შორის მეგობრობაზე. იგი, თავდაპირველად, სწორედ განსაკუთრებულად თბილმა და დადებითმა დამოკიდებულებამ მოხიბლა, რომელიც თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან მიიღო. დემეტრე აბესაძე მიიჩნევს, რომ სტუდენტური თვითმმართველობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სტუდენტთა უფლებების დაცვა წარმოადგენს; იგი კი იზრუნებს, რომ ეს მნიშვნელოვანი ამოცანა პირნათლად შეასრულოს, სტუდენტებისადმი წაყენებული ვალდებულებების ფარგლებში.

დემეტრე აბესაძე მზად არის ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობისათვის. „მზად ვარ, დავაყენო ის საკითხები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა სწავლის ხარისხისა და შედეგების ამაღლებას, მოვიძიო სტუდენტების ყოველდღიური გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. მზად ვარ, გავხდე ჩემი ფაკულტეტის სტუდენტთა ინტერესების გამხმოვანებელი, სხვებთან გუნდური მუშაობის საშუალებით დავგეგმო და ჩავატარო სხვადასხვა სახის ღონისძიება“, – ამბობს დემეტრე აბესაძე.

დემეტრე აბესაძის ცხოვრებაში თსუ-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მას ბავშვობიდანვე საქართველოში პირველ უნივერსიტეტად მიიჩნევდა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა აქ სწავლა. „თსუ ყოველთვის იყო ჩემი ცხოვრების ნაწილი, რადგანაც მამაჩემი არის ლექტორი და თსუ-ში არსებული ინსტიტუტის დირექტორი, დედაჩემიც უნივერსიტეტის თანამშრომელი იყო. ბავშვობიდანვე უნივერსიტეტს აღვიქვამდი, როგორც საქართველოში უპირველესს“, – ამბობს დემეტრე აბესაძე. რაც შეეხება პროფესიას, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ არჩეული სფერო ურთულეს გამოწვევებთან თუ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, მან მაინც გადადგა ეს ნაბიჯი და აირჩია მედიცინა, ვინაიდან სიძნელეების გადალახვით მედიკოსს სხივისი სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია, ეს კი დემეტრე აბესაძეს განსაკუთრებულად ძვირფას ღირებულებად მიაჩნია. მომავალი პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მათი ბედნიერებით მიღებული სიამოვნება მას ყველა დაბრკოლებას დააძლევინებს.

იგი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში მაღალკვალიფიციურ კადრთა მოსამზადებლად ყველა პირობაა შექმნილი. თუმცა ფიქრობს, რომ წინსვლა ყოველთვის საჭიროა. მისი აზრით, კარგი იქნება, თუ ჩვენი სტუდენტების კავშირები სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებთან გაძლიერდება.

მარიამ (მარიკო) გაფრინდაშვილი

თსუ-ს სოციოლოგიის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი

ნანიკო ტორონჯაძეს, რომელმაც სარკომა დაამარცხა, შედეგი აძლევს მოტივაციას

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ნანიკო ტორონჯაძე მთელი ამ წლების განმავლობაში სტიპენდიატია, თუმცა მისთვის აქამდე მოსასვლელი გზა მარტივი არ გახლდათ, რადგან 11 წლის ასაკში დაუდგინდა სარკომა და დაიწყო ბრძოლა რწმენით გადარჩენისთვის. „ბავშვობაში პასუხისმგებლიანი, ინტერესიანი, ცნობისმოყვარე და აქტიური ვიყავი, თუმცა, როცა ჯანმრთელობის პრობლემა შემექმნა და გამოკვლევებმა დაადასტურა სარკომა, პირველი, რაც მახსოვს, დედას აცრემლებული თვალები იყო. კლინიკაში რომ დავწექი და დავიწყე მკურნალობა, ჩემ თავს ვეუბნებოდი, რომ ყველაფერს შევძლებდი... მართლმადიდებლური სკოლა დავამთავრე და, შესაბამისად, ღვთის სიყვარული და რწმენა, რომელიც ისედაც მქონდა, მკურნალობის დროს უფრო გამიმძაფრდა“, – ამბობს ნანიკო.

იხსენებს იმ ადამიანებს, რომლებიც გვერდით ედგნენ და აღნიშნავს: „დედა, ბებო, სკოლა, მეგობრები და ჩემი მასწავლებლები ყოველთვის მხარს მიჭერდნენ და მამხნევებდნენ. დედა ოპერაციების ფორმალურ მხარეებს აგვარებდა; ბებოს, მიუხედავად იმისა, რომ კლინიკაში არ შეიძლებოდა გარეშე პირთა ყოფნა, მაინც უშვებდნენ და მის გარეშე არცერთი ქიმიოთერაპია არ გამიკეთებია. ის ხედავდა ჩემს ტანჯვას... ამ დროს, თან, ძალიან ბევრს ვსაუბრობდით... ასევე, უდიდესი დახმარება გამიწია ნინო სურგულაძის, დიმიტრი ცინცაძის ფონდებმა და სოლიდარობის ფონდმა, რათა ოპერაცია საფრანგეთში გაკეთებულიყო. მათ გარეშე არაფერი იქნებოდა“.

> **„პირველ რიგში, თავი ვიგრძენი თავისუფალ ადამიანად, ცრემლები მომდიოდა სიხარულისგან, რადგან ვიაზრებდი, რომ შემეძლო მეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობდნენ ჩემი თანატოლები; რომ არ მექნებოდა შეზღუდვები და დავუბრუნდებოდი სწავლას. ბედნიერებასთან ერთად, ასევე, ჩამენერგა მუდმივი მადლიერების განცდა, რასაც სენტიმენტებიც ახლდა.... ეს განცდა დღემდე მომყვება.“**

მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის პროცესში ოპტიმისტურად და რწმენით იყო განწყობილი, ნანიკოს ცხოვრებაში რთული დღეებიც ყოფილა, როცა ყველაფერზე ხელი ჩაუქნევია. „ამ ოპერაციის შემდეგ პერიოდს ახლდა სირთულეები, სიარულსაც თავიდან ვსწავლობდი... მაშინ, როცა ქიმიოთერაპიამ ჩასმული ძვალი დაასუსტა და გატყდა, ისევ თავიდან გახდა საჭირო ოპერაცია. საქართველოში დაბრუნებული ყავარჯნებით დავდიოდი და ჩემ თავს ვეუბნებოდი, რომ უნდა მევლო. თერაპიაზე ყოფნისას მიფიქრია, რომ დავიტანჯე და აღარაფერი მინდოდა“, – აღნიშნავს ჩვენი რესპონდენტი.

შინაგანად რა განცდები ჰქონდა, როცა დაავადება დაამარცხა? – ამ კითხვაზე ნანიკო გვპასუხობს:

„პირველ რიგში, თავი ვიგრძენი თავისუფალ ადამიანად, ცრემლები მომდიოდა სიხარულისგან, რადგან ვიაზრებდი, რომ შემეძლო მეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობდნენ ჩემი თანატოლები; რომ არ მექნებოდა შეზღუდვები და დავუბრუნდებოდი სწავლას. ბედნიერებასთან ერთად, ასევე, ჩამენერგა მუდმივი მადლიერების განცდა, რასაც სენტიმენტებიც ახლდა.... ეს განცდა დღემდე მომყვება“.

როგორც თავად გვითხრა, ნანიკო ტორონჯაძემ მკურნალობის კურსი საფრანგეთში ჩაიტარა, ამიტომ მისთვის ეს ქვეყანა გამორჩეულია. „ჩემთვის საფრანგეთი მეორე დაბადების ადგილთან ასოცირდება... რომ არა ის ოპერაციები, რაც იქ გაკეთდა, წარმოუდგენელი იქნებოდა – რა დასასრული მელოდა... ეს ქვეყანა ჩემი მეორე სახლია, რომელმაც სიცოცხლე მაჩუქა“, – ამბობს ნანიკო. სტუდენტი იმ ადამიანებსაც მიმართავს, რომლებიც ახლა გადიან ამ გზას – არ დაკარგონ რწმენა იმისა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება და რომ სარკომა განაჩენი არ არის...

ანი როსტიაშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი

არაბულენოვანი დებატების ევროპის ლიგაზე საქართველოს თსუ-ს არაბისტთა ორი გუნდი წარადგენს

მაია ტორაძე

ახლო აღმოსავლეთი ცხელ წერტილად იქცა და მთელი მსოფლიოს ყურადღება სწორედ იქითკენ არის მიმართული. როგორ ცხოვრობენ და სწავლობენ არაბეთში მცხოვრები ქართველი სტუდენტები, სადაც მიმდინარე სტიპენდიები ბევრია: ქუვეითში, კაიროში, კატარში... როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი, პროფესორი დარეჯან გარდავაძე აღნიშნავს, არაბულ ქვეყნებში მივლინებულ ქართველ სტუდენტებს დღემდე აქვთ ხელშეწყობა ადგილობრივებისგან და უცვლელია მათდამი დამოკიდებულებებიც. პროფესორი **დარეჯან გარდავაძე** ენის გაღრმავებისთვის არაბულ ქვეყნებში მყოფი სტუდენტების წარმატებებზე გვესაუბრება:

– რამდენი სტუდენტია დღეისათვის არაბულ ქვეყნებში და თუ გაქვთ ინფორმაცია, როგორ მიდის მათი სასწავლო პროცესი?

– კატარის უნივერსიტეტის არაბული ენის სტიპენდიით ამ უნივერსიტეტის ენათა ცენტრში არაბულს ეუფლება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი გიორგი გოგოხია; კატარის სასტიპენდიო ფონდის დაფინანსებით დოჰას ინსტიტუტში სწავლობს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი გიგა გიგაური; ქუვეითის განათლების სამინისტროს სტიპენდიებით ქუვეითის უნივერსიტეტის ენათა ცენტრში არაბულის ცოდნას იღრმავებენ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები: რატი რამიშვილი, ომარ ჯაშიაშვილი და მარიამ ჯერანაშვილი; ეგვიპტის განათლების სამინისტროს სტიპენდიებით არაარაბთათვის არაბული ენის სწავლების ცენტრში, კაიროში ენობრივ უნარებს იმაღლებენ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები: თიკო ჭანტურია, მარიამ ძანძავა, თეკო ჩხაპელია, ანა ლაცაბიძე, მაკა ჯამასპიშვილი, ნუცა მუზაშვილი, მარიამ დალაქიშვილი... მათთან ერთად კაიროში წასულები არიან და ამავე ცენტრში სწავლობენ მაგისტრანტი ნიკა თოფურია, არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები: ელენე ბასილაშვილი, ნინო ჭანტურია, ლილი ზაუტაშვილი, გვანცა ჯაიანი, გვანცა აბულაძე, კესო თორდია... მათი სურვილია, რომ არაბულ გარემოში ისწავლონ და აიმაღლონ ენობრივი კომპეტენციები.

არაბულ ქვეყნებში სწავლის, ცხოვრებისა თუ მოგზაურობის გამოცდილება ჩვენს სტუდენტებს წარუშლელ შთაბეჭდილებებსა და ბევრ სიახლეს, ახალ კონტაქტებსა და პერსპექტივებს ჰპირდება. მათ მრავალი გამოწვევის, სირთულეთა დამოუკიდებლად გადალახვის წელი ექნებათ. ამ აკადემიური მიღწევების უკან კი მათი მშობლიური უნივერსიტეტი და ამ არაბულ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები დგას, რომელთაც ძალისხმევა არ დაუშურებიათ ქართველი სტუდენტებისთვის არაბული სტიპენდიების ხელმისაწვდომად ქცევაში.

დიდი იმედი გვაქვს, ქართველ სტუდენტთა არაბულ უნივერსიტეტებში სწავლით შეძენილი პრაქტიკული ენობრივი და კვლევითი უნარები უზრუნველყოფენ მათ წარმატებულ შრომით დასაქმებას სამშობლოში როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ-გამოყენებით სფეროებში.

– ჩვენი გაზეთი ხშირად აშუქებს იმ სტუდენტთა წარმატებებს, რომლებიც არაბულ ქვეყნებში სწავლობენ და ოლიმპიადებში იმარჯვებენ. როგორ ემზადებით არაბულენოვანი დებატების ევროპის ლიგაზე გასავლელად?

– კატარის სამეცნიერო-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი საზოგადოების დებატების ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საუნივერსიტეტო არაბულენოვან ჩემპიონატში, სადაც არაბული ენისა და არაბისტიკის შემსწავლელი სტუდენტები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან საუნივერსიტეტო გუნდებით მონაწილეობენ და ეჯიბრებიან ერთმანეთს არაბული რეგიონის ცოდნაში, 2021 წელს, პირველად ჩაერთო თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა გუნდი (გიგა გიგაური, მიხეილ გვაძაბია, არჩილ ცარახბაია) ასევე არაბული ფილოლოგიის სპეციალობის დოქტორანტ ლედი ჯალაღონიას ხელმძღვანელობით. მათ მიიღეს ორგანიზატორი საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობა და მიწვევა ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, რომელიც 2021 წელს, პანდემიური პერიოდის საფრთხეების გათვალისწინებით, კატარის უნივერსიტეტის ნაცვლად, სტამბოლში ჩატარდა, სადაც ქართული გუნდი საკმაოდ წარმატებით გამოვიდა.

წელს არაბულენოვანი დებატების ევროპის ლიგაზე საქართველოს უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტთა ორი გუნდი წარადგენს. ტურნირის ვადები კარზეა მომდგარი და წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს ორივე გუნდს.

კარიერული განვითარების ინდივიდუალური კონსულტაციები

ნატო ობოლაძე

თსუ-ს სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრმა სტუდენტებისთვის კარიერული განვითარების ინდივიდუალური კონსულტაციები დაიწყო. სარეგისტრაციო და საკონსულტაციო პროცესი უკვე მიმდინარეობს. შეხვედრები კვირაში ორჯერ იმართება. თითოეული სტუდენტისთვის გამოყოფილი საკონსულტაციო დრო 30 წუთს შეადგენს. ინდივიდუალური კონსულტაციების ფარგლებში ცენტრის სპეციალისტები სტუდენტებს CV-ისა და LinkedIn პროფილის გამართვაში, სამოტივაციო წერილის მომზადებაში, კარიერული შესაძლებლობების განვითარებასა და სამოქმედო გეგმის შემუშავება-გაწერაში ეხმარებიან.

„პანდემიამდე და პანდემიის შემდგომ შრომის ბაზრის სპეციფიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო ახალი მოთხოვნებისთვის მოგვერგო ჩვენი საქმიანობის სპეციფიკაც. გავაანალიზეთ არსებული ვითარება, გამოვკვეთეთ მიმდინარე ტენდენციები და შედეგად სტუდენტებს ვთავაზობთ რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის მომზადებაში დახმარებას, დასაქმების ადგილების მოძიებასა და იმ უნარების განვითარებას, რასაც დამსაქმებლები აქცევენ ყურადღებას. ამისათვის მათ ეფექტიანი კომუნიკაციის, პროექტის მართვის, გუნდური მუშაობისა და პრობლემის გადაჭრის ტრენინგებს ვთავაზობთ. რბილი უნარების განვითარება სტუდენტებს შრომის ბაზარზე სწორ პოზიციონირებაში, საკუთარი თავის სწორად წარმოჩენასა და კონკურენტუნარიანობის გამომუშავებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია სტუდენტების ვაკანსიების საძიებო უნარების განვითარება, რადგან ხშირად ამბობენ, რომ ვერ პოულობენ მათთვის შესაფერის აქტიურ ვაკანსიებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, იცოდნენ – თუ როგორ უნდა შეძლონ ვაკანსიების მოძიება და ისეთი პლატფორმების სწორად გამოყენება, რაც მათ წარმოჩენას შეუწყობს ხელს. ვგულისხმობ LinkedIn-ის პოტენციალის სრულყოფილად ათვისებას, რომელიც ქართულ ბაზარზე ახალია და მისი როლი ეტაპობრივად იზრდება. ჩვენ დავეხმარებით მათ შექმნან პროფილი და მართონ ისე, რომ საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინონ.

ამ ეტაპზე 400-მდე დამსაქმებელთან გვაქვს მუდმივი კომუნიკაცია. აქტიურად ვთანამშრომლობთ მათთან და შესაბამისი ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში კადრებს ვთავაზობთ“, – აცხადებს თსუ-ს სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის მთავარი სპეციალისტი სალომე თოფურია.

ინდივიდუალური კონსულტაციის მიღების მსურველმა სტუდენტებმა რეგისტრაცია ბმულზე – https://forms.gle/K2hmsbhtVAvtD3V88 – უნდა გაიარონ.

თსუ-ში კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ფენომენის კვლევა დაიწყო

„კონსტრუქციული ჟურნალისტიკა ქართული სატელევიზიო ახალი ამბების პრიზმაში“, – ასე ჰქვია პროექტს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელშეწყობით ხორციელდება. ეს პროექტი კონსტრუქციული ჟურნალისტიკის სამეცნიერო კვლევას, მისი მეთოდების შესწავლასა და ჟურნალისტიკის ამ მეთოდის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას ემსახურება. პროექტის იდეის ავტორი და ხელმძღვანელია თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი **თინათინ მაჭარაშვილი**, რომელმაც, ევროპის გამოცდილების მაგალითზე დაყრდნობით, ასევე, ქართული კონსტრუქციული ჟურნალისტიკის არსებობის იშვიათი მაგალითების გათვალისწინებით დაიწყო თემის კვლევა. სამეცნიერო პროექტში აკადემიურ პერსონალთან ერთად (თინათინ მაჭარაშვილი, ნათია სვანიძე, მანანა შამილიშვილი, მარი წერთელი) ჩართულია სტუდენტებისგან შემდგარი გუნდიც – ორი სამაგისტრო, ერთი საბაკალავრო და ერთიც სადოქტორო პროგრამებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკის პრაქტიკაში დანერგვისა და, მეტიც, კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ინსტიტუტად დაარსების მედროშე დანიაა. დანიის საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელმა ურლიკ ჰააგერუპმა შეამჩნია ტენდენცია, რომ ტელევიზია მაყურებელს კარგავდა, იკლებდა ნდობა მედიის მიმართ და მან დაიწყო ფიქრი – როგორ დაებრუნებინა ეს ნდობა ჟურნალისტებისთვის. ჰააგერუპმა დატოვა თანამდებობა და გადაწყვიტა თავად ჩამოეყალიბებინა დანიის კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ინსტიტუტი.

დანიის კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ინსტიტუტთან საზოგადოებრივი მაუწყებელი 2021 წლიდან თანამშრომლობს. სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაიწყო თინათინ მაჭარაშვილმა კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ელემენტების კვლევა ქართულ ტელემედია სივრცეში.

როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, მსოფლიოს გამოცდილების მაგალითებმა აჩვენა, რომ რაც უფრო მეტ ექსკლუზივსა და სენსაციას სთავაზობს მედია მომხმარებელს, მით მეტი შანსია ამბის ზედაპირული თხრობისა, შესაბამისად მაყურებელს რჩება პასუხგაუცემელი კითხვები, რომლებსაც ხშირად ახალი ამბების ჟურნალისტიკა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ პასუხობს.

„კონსტრუქციული ჟურნალისტიკა ძალიან ახლოს დგას საგამოძიებო ჟურნალისტიკასთან, რადგან ამ მეთოდით მომუშავე ჟურნალისტი არ ხელმძღვანელობს ახალი ამბების მომზადების პრინციპით, იკვლევს საკითხს სიღრმისეულად და ეძიებს პრობლემის გადაჭრის გზებს“, – ამბობს თინათინ მაჭარაშვილი.

> „დანიის კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ინსტიტუტთან საზოგადოებრივი მაუწყებელი 2021 წლიდან თანამშრომლობს. სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაიწყო თინათინ მაჭარაშვილმა კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ელემენტების კვლევა ქართულ ტელემედია სივრცეში“

თინათინ მაჭარაშვილი

განსხვავების არსი

როგორც აღვნიშნეთ, განსხვავება ახალი ამბების ჟურნალისტიკასა და კონსტრუქციული ჟურნალისტიკის მეთოდს შორის ამბის სიღრმისეულ კვლევაში მდგომარეობს. თუკი ახალი ამბების ჟურნალისტს ევალება პასუხი გასცეს ჟურნალისტისათვის კარგად ნაცნობ ხუთ კითხვას (ვინ? რა? სად? როდის? რატომ?), კონსტრუქციული ჟურნალისტი დაკავებულია ამბის კვლევით და, როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, ამ შემთხვევაში ჟურნალისტის საქმიანობა უახლოვდება მკვლევრის საქმიანობას.

„ბევრმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანები წყვეტდნენ ტელევიზიის, როგორც ინფორმაციის წყაროს, გამოყენებას (პანდემიის პერიოდშიც კი, როცა თითქოს ყველაფერი პირიქით უნდა მომხდარიყო, იკლებდა მომხმარებლის რაოდენობა ონლაინ პლატფორმებიდანაც). სწორედ ამ გამოცდილებამ მიიყვანა ევროპის ქვეყნები (დანია, გერმანია შვეიცარია...) დასკვნამდე, რომ ინტენსიურად ეძიონ სიტუაციის გამოსწორების გზები. ეს გზა აღმოჩნდა კონსტრუქციული ჟურნალისტიკა, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე „დაბალანსებული ჟურნალისტიკა“. ჩვენი ქვეყნის მსგავსი პოლარიზებული საზოგადოებისთვის ეს მეთოდი ძალიან კარგი ინსტრუმენტია ჟურნალისტის ხელში და თუ ჟურნალისტი ამ ინსტრუმენტს სწორად გამოიყენებს, სრულიად შესაძლებელია, რომ ქვეყანაში ბევრი პრობლემის გადაჭრის გზაც დაისახოს“, – ამბობს პროექტის ინიციატორი.

ჩვენი რესპონდენტის თქმით, ამ მეთოდის დადებით თვისებათაგან ერთ-ერთი, რაც მნიშვნელოვანია, არის დეზინფორმაციის გავრცელების შემცირება. როდესაც ჟურნალისტი საკითხს იკვლევს სიღრმისეულად (არა მხოლოდ ახალი ამბების ფორმატის ჩარჩოებში), იკლებს ყალბი ინფორმაციის გავრცელების შანსი საკვლევი საკითხის გარშემო. ეს იყო მიზეზი, რომ ევროპის ქვეყნებმა, მათ შორის, ქართულმა საზოგადოებრივმა მაუწყებელმაც დაიწყო ჟურნალისტების გადამზადება კონსტრუქციული ჟურნალისტიკის, ასევე შეიძლება ვუწოდოთ – „ხვალინდელი ჟურნალისტიკის“ მიმართულებით.

როგორც ქალბატონი თინათინი ამბობს, უცხოელი ექსპერტების კვლევებითაც დადასტურდა, რომ „ხვალინდელი დღის ჟურნალისტიკასთან“ ყველაზე ახლოს, ამ ეტაპზე, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი დგას. სწორედ ამ არხზე იკვეთება ტენდენცია, რომ ჟურნალისტიკა დაუახლოვდეს ხალხს, საზოგადოებაში ეძიოს თემები და საკვლევი საკითხები არ იყოს ნაკარნახევი მხოლოდ პოლიტიკური დღის წესრიგით.

მანანა შამილიშვილი

> „ჩვენს მიმართულებას საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების ფარგლებში შესაძლებლობა მიეცა, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ფენომენის არსი და მისი განხორციელების მიზანშეწონილობა ჩვენს პირობებში სტუდენტთა გუნდთან ერთად ეკვლია“, – ამბობს მანანა შამილიშვილი

ახალი ფენომენი იქცევა თუ არა დღევანდელი მედიაკულტურის ალტერნატივად?

თსუ-ს ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი **მანანა შამილიშვილი**, რომელიც პროექტის თანახელმძღვანელია, ამბობს, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში კონსტრუქციული ჟურნალისტიკის კუთხით კვლევითი პროექტის განხორციელების სტიმული მათ მისცა დანიელი მეცნიერის სტუმრობამ საქართველოს პირველი არხის მასპინძლობით და მათთან შეხვედრის შესაძლებლობამ.

„ჩვენს მიმართულებას საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების ფარგლებში შესაძლებლობა მიეცა, რომ კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ფენომენის არსი და მისი განხორციელების მიზანშეწონილობა ჩვენს პირობებში სტუდენტთა გუნდთან ერთად ეკვლია“, – ამბობს მანანა შამილიშვილი.

როგორც ყველა სიახლეს, არსებულ ახალ მეთოდსაც ე.წ. გვერდითი მოვლენებიც შეიძლება ჰქონდეს, რასაც ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი არ გამორიცხავს.

„სადავოა, რამდენად შეძლებს მსგავსი მიდგომა ნეგატივიზმზე ორიენტირებული დღევანდელი მედიაკულტურის ალტერნატივად ჩამოყალიბდეს? ისმის ასეთი შეკითხვაც – ამ გზით მედიაში ხელოვნურად „გაკეთილშობილებული“ ინფორმაციის დომინანტობა ხომ არ შეუწყობს ხელს, მედიაკორექტირების ნაცვლად, საბოლოოდ, ცენზურის ნაირსახეობად იქცეს? დამეთანხმებით, ამ კითხვებს ნამდვილად აქვთ არსებობის უფლება“, – ამბობს მანანა შამილიშვილი. თუმცა, როგორც ქალბატონი მანანა ამბობს, არსებული სავალალო ვითარებაც უკეთესობისკენ შეცვლის სურვილს რომ აჩენს, ესეც ცხადია. გამოსავლის ძიების პროცესში კი აუცილებლად გამოჩნდება „ხსნის გზაც“.

პროექტის ავტორები საყოველთაო სამეცნიერო დისკუსიაში საკუთარი წვლილის შეტანას სწორედ კონსტრუქციულ ჟურნალისტიკასთან დაკავშირებული პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევით აპირებენ. პროექტი თითქმის უკვე დასრულებულია. უნდა ითქვას, რომ კვლევის ერთი ეტაპის შედეგები უკვე გამოქვეყნდა. შემდეგი ეტაპი მხოლოდ კვლევის საბოლოო რედაქტირებაა და ოქტომბერში სტუდენტები თავიანთ შექმნილ მასალებს სტუდენტურ კონფერენციაზე წარადგენენ. მომდევნო ეტაპზე კი ძირითადი მიგნებების მაღალრეიტინგულ რეფერირებულ გამოცემაში დაბეჭდვა იგეგმება.

ნინო ჯანჯალაშვილი,
თსუ-ს ჟურნალისტიკის მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტი

ლადო ჭანტურია – მსოფლიოს მოქალაქე

უნივერსიტეტმა ქართველი მეცნიერის 60 წლის იუბილე აღნიშნა

ნატო ობოლაძე

აკადემიური იურიდიული საზოგადოების წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ლადო ჭანტურიას 60 წლის იუბილე აღნიშნეს. ლადო ჭანტურიას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნისა და ახალი ქართული სამართლის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. იგი იყო საქართველოს კონსტიტუციის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე მომუშავე სარედაქციო ჯგუფის წევრი. მისი ავტორობით სხვადასხვა ენაზე შესრულებული და ნათარგმნი 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომია გამოცემული.

ქართული სამართლის განვითარებაში ლადო ჭანტურიას მიერ გაწეული ღვაწლის აღსანიშნავად, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თამარ ზარანდიასა და პროფესორ ბესარიონ ზოიძის რედაქტორობით, მეცნიერის მოსწავლეების, ქართველი და უცხოელი კოლეგების საავტორო სპეციალური სამეცნიერო კრებული გამოიცა.

კრებულის პრეზენტაცია საიუბილეო ღონისძიებაზე გაიმართა. იუბილეზე, ასევე, ცნობილი გახდა, რომ ლადო ჭანტურია ევროპის აკადემიის წევრად აირჩიეს. ამის შესახებ ევროპის აკადემიის (Academia Europaea) თბილისის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელმა დავით ფრანგიშვილმა განაცხადა.

პროფესორ ლადო ჭანტურიას მიერ საქართველოში კერძო სამართლის განვითარებაში შეტანილი წვლილის შესახებ ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა ნინო გვენეტაძემ, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ ზარანდიამ და პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ ისაუბრეს.

„პროფესორმა ლადო ჭანტურიამ, როგორც სამოქალაქო კოდექსის სარედაქციო კომისიის წევრმა, გადამწყვეტი როლი შეასრულა სამოქალაქო კოდექსის ღირებულებით ორიენტაციაში. მომდევნო ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო სრულიად ახალი ქართული იურიდიული დოქტრინის შექმნა, რომელმაც ხელი შეუწყო სამოქალაქო კოდექსის ცხოვრებაში დანერგვას. მისი შრომები კერძო სამართლის ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი სამოქალაქო სამართლის ზოგად თეორიაში, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, საკორპორაციო სამართალში, მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალში, სამოსამართლეო სამართლის განვითარების საკითხებში ფასდაუდებელია ქართული იურიდიული სამეცნიერო სივრცისთვის. განსაკუთრებით გამოვყოფ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველ კომენტარს, რომელიც ამ დარგის მთავარ ტექსტად იქცა და პრაქტიკული თუ სამეცნიერო დისკუსიის ფუნდამენტური ნაშრომია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დღესაც ახორციელებს სამოქალაქო კოდექსის კომენტარების პროექტს პროფესორ ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობით.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა რთული იურიდიული კონსტრუქციების ნათელი და გასაგებით ენით გადმოცემის სტილით. მუდმივად მხარს უჭერს ქართველ ახალგაზრდა იურისტებს. მან არაერთ ქართველ იურისტს გაუკვალა გზა ევროპულ სამეცნიერო კვლევით თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ასევე, ფაკულტეტზე ყოველსემესტრულად, მისი ფინანსური მხარდაჭერით, საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის გაიცემა სტიპენდია, რაც მათთვის მნიშვნელოვანი სტიმულია“, – განმარტა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა თამარ ზარანდიამ.

* * *

საიუბილეო კრებული ქართველი და უცხოელი სამართალმცოდნეების 30-ზე მეტ სამეცნიერო სტატიას მოიცავს. ავტორებს შორის არიან პროფესორები როლფ კნიპერი, კლაუს ჰოპტი, ჰაინ ბიოლინგი, ანგელიკა ნიუსბერგერი, მაიდან სულეიმენოვი, ნატალია კუზნეცოვა, ჰანს იოახიმ შრამი, ფარხად კარაგუსოვი, ალექსანდერ ტრუნკი, ტომას მაიერი, ევგენია კურცინსკი სინგერი... მათ აქტუალური სამართლებრივი საკითხების ანალიზისას ლადო ჭანტურიას კვლევების მნიშვნელობა და მისი პირადი ღვაწლიც გამოკვეთეს. სტატიაში „ლადო ჭანტურია – მსოფლიოს მოქალაქე“ კასპიის უნივერსიტეტის პროფესორი მაიდან სულეიმენოვმა ხაზი გაუსვა მეცნიერის მაღალ პროფესიონალიზმსა და მორალურ პრინციპებს, რაც, მისივე განმარტებით, მეცნიერის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციაზე არჩევის წინაპირობა გახდა.

„ლადო ჭანტურია თავს თავისუფლად გრძნობს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში“... „მისი ცოდნა და ქარიზმა განაპირობებს მის თავდაჯერებულობას. ის ნამდვილი მსოფლიო მოქალაქეა“ – აღნიშნავს ავტორი.

საიუბილეო ღონისძიებაზე მაიდან სულეიმენოვმა ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსის მიღების პროცესში ლადო ჭანტურიას ჩართულობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და მეცნიერს, პროფესორ ფარხად კარაგუსოვთან ერთად, ყაზახეთის ეროვნული სამოსი უსახსოვრა.

„ლადო ჭანტურიამ არა მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის ცენტრალური საკანონმდებლო ნორმების ჩამოყალიბებაში მიიღო გადამწყვეტი მონაწილეობა, არამედ მათ პრაქტიკაში განხორციელებასაც შეუწყო ხელი

თამარ ზარანდია

თავიდან როგორც იუსტიციის მინისტრმა, შემდგომ როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, სამოქალაქო კოდექსის კომენტატორმა და უნივერსიტეტის მასწავლებელმა“, – წერს კრებულში გერმანელი პროფესორი როლფ კნიპერი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სარედაქციო კომისიას. მან საიუბილეო ღონისძიებაზე ასევე გაიხსენა, რომ ლადო ჭანტურია იყო პიროვნება, რომლის განსწავლულობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული კერძო სამართლის ევროპეიზაციის საქმეში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა ანგელიკა ნუბერგერმა და პროფესორმა ალექსანდერ ტრუნკმა ლადო ჭანტურია სამი მნიშვნელოვანი თვისებით დაახასიათეს – მომღიმარი, სამართლიანი მოსამართლე და მოსამართლე, რომელსაც შეუძლია გულისყურით მოსმენა.

„საიუბილეო კრებული ყველაზე დიდი საჩუქარია, რაც მეცნიერმა შეიძლება ინატროს. კრებულში მოცემული უმაღლეს დონეზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორები არიან ადამიანები, რომლებთანაც ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთები მაკავშირებს“, – აღნიშნა ლადო ჭანტურიამ და მადლობა გადაუხადა კრებულის შემქმნელებს: „განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ამ საიუბილეო კრებულის რედაქტორების – პროფესორების ბატონ ბესარიონ ზოიძისა და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ქალბატონ თამარ ზარანდიას მიმართ. კარგად ვიცი, რამდენ სირთულესთან არის დაკავშირებული ამ საქმის გაკეთება. დიდი მადლობა ყველა ავტორს, გამომცემელს ამ კრებულის მომზადებისა და გამოცემისთვის. დიდი მადლობა ჩემს მშობლიურ ფაკულტეტსა და უნივერსიტეტს ამ დიდი საჩუქრისთვის!“

„კლინიკური ფარმაკოლოგიის“ სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ითარგმნა

ნატო ობოლაძე

ქართულ ენაზე პეტერ ბენეტის, მორის ბრაუნისა და პანკაჯ შარმას „კლინიკური ფარმაკოლოგიის“ უახლესი, მეშვიდე გამოცემა ითარგმნა. სახელმძღვანელო CHURCHILL LIVINGSTONE ELSEVIER-ის გამოცემაა და განკუთვნილია მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტებისთვის, რეზიდენტებისა და ექიმებისთვის. წიგნი რეკომენდებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სალიცენზიო გამოცდებისთვის.

„კლინიკური ფარმაკოლოგია“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა თამარ კეზელმა და ასისტენტ-პროფესორმა მარიამ ჭიპაშვილმა თარგმნეს, ქართულენოვანი გამოცემის მთავარი რედაქტორი, ასევე, პროფესორი თამარ კეზელია.

„ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაზრდილია ინოვაციური წამლების შექმნის მასშტაბი, რის გამოც ექიმებს სულ უფრო ხშირად უხდებათ სრულიად ახალი წამლების დანერგვა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში. ამასთანავე, მრავალი მომიჯნავე დარგის განვითარებასთან ერთად სულ უფრო იზრდება და ახლდება ინფორმაცია ძველი წამლების ეფექტურობისა და უსაფრთხოების შესახებ. ზოგიერთი წამალი, რომლის დეტალურად შესწავლაზე ექიმებმა საკმაოდ დიდი დრო დახარჯეს უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, დღეს უკვე ამოღებულია კლინიკური პრაქტიკიდან.

ახალ სახელმძღვანელოში ფარმაკოლოგიისა და ფარმაკოთერაპიის ზოგადი პრინციპები განხილულია წიგნის 1–11 თავებში. მომდევნო თავები მოიცავს წამლების რაციონალურ გამოყენებას სპეციალობების მიხედვით და ეყრდნობა მედიცინის ამ სფეროში მოღვაწე ექსპერტთა უახლეს ცოდნასა და გამოცდილებას. სახელმძღვანელოს ავტორები ცდილობენ პრაქტიკაში არსებული კლინიკური ან მოსალოდნელი პრობლემების მოკლე, გონივრულად გადაწყვეტის გზების შემოთავაზებას. განსჯის საგანია – თუ რა რაოდენობითაა მოცემული სახელმძღვანელოში პრაქტიკული ტექნიკური დეტალები. ზოგადად, სამედიცინო პრაქტიკაში ვხვდებით სხვადასხვა პრობლემას: ზოგიერთი



მათგანის მკურნალობა საკმაოდ რთულია და პოტენციურად საშიში. ასეთი პრობლემის მკურნალობის სქემები ხშირ განახლებას ექვემდებარება (მაგ. ანაფილაქსიური შოკი), ამიტომ ასეთი პრობლემის გადასაჭრელად ავტორთა ჯგუფი მკითხველს სთავაზობს უფრო დეტალურ ინფორმაციას, ხოლო უახლესი რჩევების მისაღებად კი ურჩევენ ვებ-გვერდებითა და მწარმოებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით სარგებლობას; სპეციალისტები მიერ ჩასატარებელი ზოგიერთი პრობლემის მკურნალობის შესახებ (სიმსივნეების სამკურნალო თანამედროვე საშუალებები) კი ავტორები უფრო მწირ ინფორმაციას იძლევიან და, ზოგადად, ისინი ურჩევენ ექიმებს ახალი (რომელთა ეფექტურობა და უსაფრთხოება არ არის ბოლომდე შესწავლილი) ან მათთვის უცნობი წამლის დანიშვნის წინ გულდასმით და დეტალურად გაეცნონ ფორმულარებში, მტკიცებულებებზე დაყრდნობილ გაიდლაინებში ან მწარმოებლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას“, – განმარტავს თამარ კეზელი.

სახელმძღვანელოს ქართულენოვანი ვერსია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ მიმდინარე წლის დეკემბერში გამოიცემა.

საერთაშორისო აღიარება

საყოველთაოდ ცნობილია სტატისტიკის მნიშვნელობა ქვეყნების, საზოგადოებების განვითარებაში, მართვის ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ქვეყნებს შორის მაკრომაჩვენებლების, ცხოვრების დონის საერთაშორისო შედარებების საქმეში და სხვა. მიმდინარე წლის 16-20 ივლისს ქ.ოტავაში (კანადა) სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის (International Statistical Institute – ISI) ეგიდით ჩატარდა მსოფლიო სტატისტიკის კონგრესი (World Statistics Congress 2023 – WSC2023). მონაწილეთა რაოდენობა გახლდათ 1500-ზე მეტი, მათ შორის იყვნენ მკვლევრები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მსხვილი კომპანიების ლიდერები და პოლიტიკოსები.

მკითხველს აქვე მინდა ორიოდე სიტყვით მოვახსენო აღნიშნული ინსტიტუტის (ISI) შესახებ – იგი დაარსდა 1885 წელს ქ.ლონდონში გამოჩენილი 81 სტატისტიკოსის მიერ, ხოლო დღესდღეობით მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ქ.ჰააგაში (ჰოლანდია). მისი დევიზია – „სტატისტიკური მეცნიერება უკეთესი მსოფლიოსთვის“, ხოლო მიზანი და ფუნქციები მდგომარეობს სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის ოფიციალური სამსახურების დაკავშირებაში სტატისტიკის წინაშე მდგარი რთული პრობლემების და საკითხების გადაწყვეტის მიზნით. სიტყვა მეცნიერება აქ გამიზნულად არის გამოყენებული და ხაზგასმული, რამეთუ სტატისტიკა არ არის მხოლოდ რაოდენობრივი მდგომარეობის დადგენა, არამედ ის გადადის ახალ თვისებრიობის შესწავლაში, ანუ როგორც საკუთრივ მეცნიერება განუსაზღვრელია, ასევე სტატისტიკაც. აღნიშნული ინსტიტუტი გახლავთ გამორჩეული, დამოუკიდებელი სტატისტიკური ორგანიზაცია, რომლის სტრუქტურაში შედის 7 ასოციაცია (ოფიციალური სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაცია, სტატისტიკური დაკვირვების საერთაშორისო ასოციაცია, მათემატიკური სტატისტიკის და ალბათობის ბერნულის საზოგადოება, საერთაშორისო ეკონომეტრიკული საზოგადოება, სტატისტიკური განათლების საერთაშორისო ასოციაცია, სტატისტიკური გამოთვლების საერთაშორისო ასოციაციაცია), 21 კომიტეტი, იგი ფარავს 150 ქვეყანას/

რეგიონს. კონგრესზე წარმოდგენილი თემატიკა საკმაოდ ფართო და საყურადღებო იყო: სტატისტიკის მეთოდოლოგია; ოფიციალური სტატისტიკის აქტუალური ასპექტები; გარემოს სტატისტიკა; სტატისტიკური მოდელირება; ფინანსების და ბიზნესის სტატისტიკა; სასურსათო უსაფრთხოების სტატისტიკა; სამუშაო ძალის ბაზრის სტატისტიკა; სოციალური უთანასწორების სტატისტიკა; შიდა და საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკა; კოვიდ-19-ის მსოფლიოზე ზეგავლენის სტატისტიკა; ალტერნატიული სტატისტიკა და სხვა; კონგრესზე ჯამში ფუნქციონირებდა 100-მდე სექცია და ქვესექცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფრიად საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის თეიმურაზ ბერიძის მიწვევა ზემოთაღნიშნულ კონგრესზე, სადაც იგი წარსდგა მოხსენებით თემაზე „Occupational analysis of demand and supply of skilled labor – a cornerstone of comprehensive labor market information for TVET (Technical and Vocational Education and Training planning“ („კვალიფიცირებული სამუშაო ძალაზე მოთხოვნა/მიწოდების ტექნიკური და პროფესიული განათლება და მომზადება – გამოკვლევა, როგორც სამუშაო ბაზარზე ინფორმაციის დაგეგმვის ქვაკუთხედი“). მოხსენებაში გამახვილებული იყო ყურადღება კვალიფიცირებულ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა/მიწოდების, უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულების სიჭარბე (საქართველოსთვის დამახასიათებელი ნიშანია) და, შესაბამისად, კვალიფიკაციის შეუსაბამობა სამუშაო ადგილებთან, კვალიფიცირებული სამუშაო ძალის მიგრაცია ქვეყნის შიგნით და უცხოეთში, სამუშაო ძალის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა საკითხებზე). განსაკუთრებით აღინიშნა, რომ უმუშევრობა შედარებით უფრო მაღალია კვალიფიცირებულ სამუშაო ძალაში, ვიდრე არაკვალიფიცირებულ. ამის ერთ-ერთი ახსნა გახლავთ ის, რომ კვალიფიცირებული სამუშაო ძალა თანხმდება მხოლოდ მაღალ ანაზღაურებაზე, ხოლო დაბალკვალიფიცირებული ხშირ შემთხვევაში დაბალ ანაზღაურებაზე. მოხსენებაში გამახვილებული იყო ყურადღება საინჟინრო სპეციალობებზე ახალგაზრდების მომზადებაზე, რამეთუ დღეს საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში ძირითადად მოთხოვნაა ეკონომისტებზე და იურისტებზე.

კონგრესის მუშაობის ფარგლებში ადგილი ჰქონდა ღირშესანიშნავ მოვლენას – საყოველთაოდ ცნობილ სტატისტიკოსს, პროფესორს კალუამპუდი რადჰაკრიშნა რაო-ს (ინდოეთი) მიენიჭა საერთაშორისო პრიზი სტატისტიკაში. მისი კვლევები ძირითადად მოიცავდა სტატისტიკური მეთოდოლოგიისა და მეთოდების განვითარებას გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

კონგრესის დახურვისას სტატისტიკის სართაშორისო ინსტიტუტის პრეზიდენტმა სტეფენ პენეკმა და დირექტორმა კონჩიტა კლეივეგმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს ამგვარი ღონისძიების ჩატარების დიდი მნიშვნელობა. მომავალი კონგრესი ჩატარდება 2025 წელს ქ.ჰააგაში (ნიდერლანდები).

ვფიქრობთ, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის აღნიშნული ვიზიტი კანადაში კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის საერთაშორისო სტატისტიკური საზოგადოების საერთო ოჯახში ჩართვას.

დავით კბილაძე,

საქართველოს დავით აღმაშენებელის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

ინოვაციური ქირურგიული მეთოდები ტრავმატოლოგია-ორთოპედიაში

ნატო ობოლაძე

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის ტრავმა-ორთოპედიის კათედრის გამგემ, პროფესორმა ლევან თავბერიძემ ე.წ. ყალბი სახსრებისა და ენდოპროტეზირების შემდგომი გართულებების ოპერაციული მკურნალობის ინოვაციური მეთოდები დანერგა. მსხვილ სახსართა ენდოპროტეზირების შეცდომებისა და გართულებების სარევიზიო ქირურგია, ენდოპროტეზირებების შემდგომი პერიპროტეზული ინფექციების სარევიზიო ქირურგია და ინფიცირებული დეფექტების კომპლექსური მკურნალობა (კან-კუნთოვან-ძვლოვანი პლასტიკის მიკროქირურგიული მეთოდების გამოყენებით) კლინიკა „კარაპს მედლაინ“-ში ტარდება; მიკროქირურგიულ ნაწილს პროფესორი საშა კალატაროვი აკეთებს. ლევან თავბერიძის განმარტებით, აღნიშნული ოპერაციები 98%-იანი წარმატებით სრულდება.

„ბოჭორიშვილის კლინიკის ბაზაზე ჩვენი განყოფილება 2016 წლიდან ამოქმედდა. დეპარტამენტი აღჭურვილია ყველა შესაბამისი თანამედროვე სამედიცინო ინფრასტრუქტურით, რამაც საშუალება მოგვცა დიდი სირთულის ოპერაციების გაკეთება დაგვეწყო. გართულება არაერთი სახის შეიძლება იყოს, მათ შორის არის პოსტოპერაციული ინფექციური გართულებები საყრდენ მამოძრავებელი სისტემის ტრავმების ოპერაციული მკურნალობის შემდგომ. რიგ შემთხვევაში ჩირქოვანი პროცესი იმდენად არის შორს წასული, რომ დღის წესრიგში კიდურის ამპუტაციის აუცილებლობა დგებოდა, თუმცა ჩვენ, მიკროქირურგთან ერთობლივი მუშაობით, მივაღწიეთ იმას, რომ 98%-იანი დადებითი გამოსავალი გვაქვს. ამისათვის რიგი პრობლემებია გადასაჭრელი, მაგალითად, დარღვეულია ძვლის ფრაგმენტების კვება. აღნიშნულ ოპერაციას მე და ჩემი კოლეგა, მიკროქირურგი საშა კალატაროვი ერთად ვაკეთებთ, 10-12 სანტიმეტრიან ძვლის ტრანსპლანტანტს ვიღებთ რომელიმე უბნიდან და ძვლის დეფექტის ადგილზე ვნერგავთ. ეს არის 16 საათიანი ოპერაცია. ასეთი ტიპის 30-მდე ოპერაცია გვაქვს გაკეთებული.

როდესაც მეკითხებიან მუშაობის პროცესზე – თუ რა განაპირობებს წარმატებას, ჩვენ ვპასუხობთ, რომ წარმატება დიდად არის დამოკიდებული ოპერაციის წინა დიზაინზე და მაღალ ტენოლოგიურ მენეჯმენტზე.

მას შემდეგ, რაც პაციენტების ენდოპროთეზირება მასობრივად დაიწყო (პირველი ოპერაცია ლ. თავბერიძემ ჩაატარა 1995 წელს, ჰყავდა მოწვეული ამერიკის ფირმა Medical Prodaqts), რამაც გამოიწვია დიდი ინტერესი ამ ოპერაციების მიმართ; ბუნებრივია, რომ იმატა გართულებების მაჩვენებელმაც. მეორადი სარევიზიო ენდოპროტეზირება ძალიან დიდი ოპერაციაა, რომელიც, სირთულიდან გამომდინარე, დაახლოებით, 40 000$ დოლარამდე ჯდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ჩვენ ამ ოპერაციებს აქ უპრობლემოდ ვაკეთებთ – ხდება სარევიზიო ვაგნერის ფეხების გამოყენება, ფოსოს რინგების, ძვლის დეფექტის აღდგენა იმპლანტების გამოყენებით. პაციენტი სტაციონარში 4-5 დღე ყოვნდება. ინფექციის ჩაქრობა და რეკონსტრუქციული ოპერაციის წარმოება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული (დიდი გამოცდილებაა საჭირო). ოპერაციის შედეგად არცერთი უსიცოცხლო ქსოვილი იქ არ რჩება; დამუშავება განსაკუთრებული სიფრთხილით ხდება და მხოლოდ ამის შემდეგ ვაკეთებთ ახალ პროთეზირებას. გარდა ამისა, ვაკეთებთ ყალბ სახსრებთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ოპერაციებს, რომელიც, მიკროქირურგიული მეთოდისგან განსხვავებით, მარტივ და ეფექტიან მიდგომას გულისხმობს“, – განმარტავს ლევან თავბერიძე.

ლევან თავბერიძე 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. 1986 წლიდან დღემდე სტაჟირების, სამეცნიერო კონგრესებში მონაწილეობის, კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ გამოცდილების გაზიარების მიზნით არაერთხელ იმყოფებოდა უნგრეთის, გერმანიისა და შვეიცარიის, ინგლისის წამყვან კლინიკებში. არის მსოფლიო ტრავმატოლოგ-ორთოპედთა საზოგადოების SICOT-ისა და საქართველოს ტრავმატოლოგ-ორთოპედთა ასოციაციის გამგეობის წევრი. პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გარდა, იგი მნიშვნელოვან მოვალეობად პედაგოგიურ საქმიანობას მიიჩნევს: „მე ვმუშაობ იმ პრინციპით, როგორც ჩემი შვეიცარიელი კოლეგები – ქსოვილებთან დამოკიდებულება უნდა იყოს ფაქიზი, ოსტეოსინთეზს თავისი ჩვენებები აქვს“, – აღნიშნავს ლევან თავბერიძე – „იგივეს ვასწავლი ჩემს რეზიდენტებსა და სტუდენტებს. ჩემთვის, როგორც ექიმისთვის ადამიანობა და პროფესიონალიზმი პირველ რიგში ფასობს და მნიშვნელოვანია, რომ წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა რაც შეიძლება მეტ მოწაფეს დავუტოვო“.

ზურაბ ცაგარელის გახსენება

ღიდი დრო არ გასულა, რაც მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ზურაბ ცაგარელი.

ზურაბ ცაგარელი1934 წლის 11 მაისს ქ. თბილისში დაიბადა, 1950 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ქ. თბილისის ვაჟთა მე-6 საშუალო სკოლა, 1956 წელს კი წარჩინებით დაასრულა სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1958-1960 წლებში იგი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი; 1960-1961 წლებში – ამავე ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის განყოფილების უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, 1961-1969 წლებში კი – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. 1969-1971 წლებში მუშაობდა ელექტრონული მიკროსკოპიის ლაბორატორიის გამგედ, ხოლო 1971-2005 წლებში გახლდათ ციტოლოგიის განყოფილების გამგე.

2006 წლიდან 2023 წლის 8 აგვისტომდე, სიცოცხლის ბოლომდე, იყო კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.

1972 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გულის მორფოლოგია ზოგადი ჰიპოქსიის დროს“, 1976 წელს კი მიენიჭა პროფესორის წოდება „პათოლოგიური ანატომიის“ დარგში. 1989 წელს ზურაბ ცაგარელი გახდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხოლო 2001 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით“.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ზურაბ ცაგარელი გახლდათ 14 მონოგრაფიის, 2 სახელმძღვანელოსა და 320 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (მათ შორის 114 დაიბეჭდა საზღვარგარეთ).

სხვადასხვა წლებში სამუშაო მივლინებით იმყოფებოდა ევროპის რიგ ქვეყანაში სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, მათ შორის სისხლის მიმოქცევის პრობლემათა შემსწავლელ ინსტიტუტში (ბერლინბუხი, გერმანია) და მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის ინსტიტუტში (იენა, გერმანია).

2009-2023 წლებში ზურაბ ცაგარელი გახლდათ თსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი. იგი იყო არაერთი საერთაშორისო კონფერენციისა და პროფილური სემინარის ორგანიზატორი, მომხსენებელი, სამეცნიერო გამოცემათა რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი.

პროფესორ ზურაბ ცაგარელის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა დაკავშირებულია აღ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტთან და თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის კათედრასთან ვლადიმერ ჟღენტისა და ნინო ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით (1958 წ.).

პროფესორ ზურაბ ცაგარელის სამეცნიერო ინტერესები არ შემოიფარგლებოდა რომელიმე ერთი ორგანოს ან სისტემის ფუნქციურ-მორფოლოგიური კვლევით. ის მოიცავდა კლინიკური და მოდელირებული პათოლოგიის სხვადასხვა საკითხებს, რომელთა შესწავლა ხორციელდებოდა თანამედროვე მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური მიდგომებით. მათ შორის: პირველად საქართველოში დაინერგა ტრანსმისიული და მასკანირებელი მიკროსკოპიის მეთოდები, შეიქმნა ელექტრონული მიკროსკოპიისა (1969 წ.) და ციტოლოგიის ლაბორატორიები (1971 წ.) და განყოფილება (1973 წ.).

პირველად ამიერკავკასიაში დაიწყო ჰიპერბარული ოქსიგენაციის მიზანმიმართული კვლევები ორიგინალური მოდიფიკაციით შექმნილ ბაროკამერაზე. შესწავლილი და გამოქვეყნებული იყო შრომები გულის იშემიური ავადმყოფობის და ინფარქტის, ახალშობილთა სეფსისის და ნევროლოგიური მოშლილობების დროს ჰიპერბარული ოქსიგენაციის გამოყენების ეფექტებზე, სადაც ფართოდ გაშუქდა მეთოდის სტრუქტურულ-ფუნქციური საბაზისო საკითხები.

პროფესორ ზურაბ ცაგარელს ეკუთვნის პრინციპულად ახალი გამოკვლევები და თეორიული მიგნებები მიკროცირკულაციის ნორმისა და პათოლოგიის საკითხებზე, განსაკუთრებით – სისხლძარღვის კედლის ენდოთელიუმის ფუნდამენტურ მახასიათებლებზე (განვლადობა, აგრეგაცია, იმუნოგენეზი). დასახელებული საფუძვლად დაედო საკანდიდატო დისერტაციის ნაშრომს ნერვული სისტემის სხვადასხვა განყოფილების მორფოლოგიაზე ბავშვთა ასაკში.

პროფესორ ზურაბ ცაგარელის კვლევებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჟანგბადის უკმარისობის პრობლემას კლინიკისა და ექსპერიმენტის პირობებში, ასევე მოდელირებული ინფარქტის დროს გულის კუმშვადობის და მიკროცირკულაციის მაკორეგირებელი ახალი ფარმაკოლოგიური პრეპარატების გამოცდას, მათი ზემოქმედების მორფოლოგიური ბაზისის კვლევას აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილთან ერთად. ჰიპოქსიის სხვადასხვა სახეობათა დროს გულის ულტრასტრუქტურის შესწავლას ეძღვნება ზურაბ ცაგარელის სადოქტორო დისერტაცია და შემდგომ მონოგრაფია – „გულის ულტრასტრუქტურა ნორმისა და პათოლოგიის დროს“ (1973 წ.). ამ კვლევებს ავტორი აგრძელებდა სიცოცხლის ბოლომდე, რასაც მოწმობს მისი ნაშრომები ათეროსკლეროზთან დაკავშირებული დაავადებების პათოგენეზისა და მოლეკულური ბიოლოგიის საკითხებზე იმუნოჰისტოქიმიისა და იმუნოგენეტიკის ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც გამოქვეყნდა აშშ და ევროპის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში (2019-2022 წწ.).

პროფესორ ზურაბ ცაგარელის სამეცნიერო კვლევებში სისტემატურად იყო წარმოდგენილი საქართველოში გავრცელებული ენდემური პათოლოგიისა და მორფოეპიდემიოლოგიის საკითხები, სახელდობრ, ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური და სიმსივნური დაავადებები – ამ დაავადებათა კლასიფიკაციისა და ძირითადი ჰისტოპათოლოგიური ნიშნების ფორმულირება, განსაკუთრებით მიკროკარცინომების საკითხები, რომლებსაც მისი ხელმძღვანელობით ახალგაზრდა მეცნიერები იკვლევდნენ.

ბატონი ზურაბ ცაგარელის გარდაცვალება ნამდვილად დიდი დანაკლისია არა მარტო მისი ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგებისათვის, არამედ უნივერსიტეტისა და მთელი დარგისათვის.

ოფიციალური ინფორმაცია

2023 წლის 13 ნოემბერს თსუ-ს აკადემიურმა საბჭომ გამოაცხადა კონკურსი თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად.

განცხადება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

* * *

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.

2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში **2023 წლის 13 დეკემბერს** 10:00 საათიდან, მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობის პრეტენდენტთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს **2023 წლის 19 დეკემბერი** 18:00 საათი.

4. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების დოკუმენტური მონაცემების გაცნობა და პრეტენდენტებთან გასაუბრება განხორციელდეს **2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრის** ჩათვლით.

5. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს **2023 წლის 27 დეკემბერი**.

6. პრეტენდენტი უნდა იყოს:

ა) უმაღლესი განათლების მქონე;

ბ) ფინანსური ან/და მატერიალური ან/და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე;

გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე;

დ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.

7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;

გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;

ვ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

ზ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ;

თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

https://www.tsu.ge/ka/legalakad/48392?fbclid=IwAR0_aPDGnwzPt48tnRrBChvQtQwnCr-__eDFDBf2n5Vd8rDAQUMqy6rNvPc

1927 წლიდან
თბილისის უნივერსიტეტი

漫画 მანგას ხელოვნების დასაუფლებლად იაპონისტიკის მიმართულებაზე პრაქტიკული სემინარი ჩატარდა

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იაპონისტიკის მიმართულებაზე მანგას ხელოვნების დასაუფლებლად სტუდენტებისთვის მეტად საინტერესო სემინარი გაიმართა, რომელსაც ტოკიოს უნივერსიტეტის ლექტორი ტაკუმი იოშიდა უძღვებოდა. იაპონელი ლექტორის მოწვევა იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ ნანა გელაშვილის ინიციატივით მოხერხდა, რომელმაც სტუდენტების დაინტერესებიდან გამომდინარე, ამჯერად, იაპონური სახვითი ხელოვნების ორიგინალური სახეობის – მანგას (სიტყვასიტყვით ნიშნავს – უჩვეულო, გროტესკული სურათები) თემა შეარჩია.

„რამდენადაც მანგა ძალიან მოდური გახლავთ მთელს მსოფლიოში და ახალგაზრდებმა თუ სტუდენტებმა კარგად იციან ხელოვნების ამ ჟანრის შესახებ, ჩვენც ამიტომ შევარჩიეთ ეს თემა. ამისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ საქართველოში იაპონიის საერთაშორისო სააგენტოს – „ჯაიკას“, რომელმაც ჩვენი თხოვნის საფუძველზე დღევანდელი ღონისძიების ორგანიზება ითავა. მანგა იაპონური კულტურისთვის დამახასიათებელი გრაფიკული ნოველაა, რომლის დასავლური შესატყვისი კომიქსია. თქვენც ხედავთ, რამდენი სტუდენტი ესწრება სემინარს ამ ჟანრის წარმოშობის ისტორიის გასაცნობად, მისი შესრულების ტექნიკის დასაუფლებლად. ყველა ის ატრიბუტიკა (ტუში, კალმები და ა.შ.), რაც მანგას მიმდინარეობის შესასწავლადაა საჭირო, იაპონელმა ლექტორმა სტუდენტებს დაურიგა და მათთან ერთად შეეცადა კომიქსების შექმნას მანგას სტილში. სასიამოვნოა,

> **„რამდენადაც ამ ხელოვნების შესახებ წარმოდგენა უკვე აქვთ სტუდენტებს, ჩვენ მიერ მოწვეულ ლექტორს სემინარზე აღარ დასჭირდა იმის დეტალურად ახსნა-განმარტება – თუ რა არის მანგა? ჩვენი სტუდენტები ტაკუმი იოშიდას მითითებებით პირდაპირ გადავიდნენ ხატვაზე.“**

ნანა გელაშვილი

რომ ეს პროცესი მეტად დინამიურად წარიმართა, რადგან სტუდენტებმა საოცარი ნიჭი გამოავლინეს როგორც ხატვის, ასევე კომიქსების თემატიკის მოფიქრების კუთხით“, – განაცხადა ნანა გელაშვილმა.

როგორც იაპონისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი აღნიშნავს, მანგა, როგორც იაპონური ტრადიციების შემადგენელი ხელოვნების ერთ-ერთი მიმდინარეობა, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. პირველად თურმე ბუდისტმა ბერებმა დაიწყეს კარიკატურების ხატვა, რაც საზოგადოებამ ერთხმად აიტაცა და

ნიკა გოგეშვილი

რასაც შემდეგში სხვადასხვა თემატიკაზე გაბმული თხრობის ამსახველი კომიქსების სახე მიეცა. სწორედ კომიქსები გახლავთ მანგას ერთ-ერთი მიმართულება, რითაც არა მხოლოდ ახალგაზრდები არიან გატაცებულნი, არამედ ყველა ასაკის ადამიანებშია ის პოპულარული, რადგანაც თემატურად ის მეტად ფართო სპექტრს მოიცავს: თრილერს, დრამას, კომედიას, სპორტს, ფანტასტიკას, დეტექტივს, ისტორიას და ა.შ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იაპონისტიკის მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტი ნიკა გოგეშვილი ფიქრობს, რომ მანგა იმით არის საინტერესო და სახალისო, რომ ადამიანს ამ ჟანრით ყველაფრის გადმოცემა შეუძლია. ანუ, ე.წ. ილუსტრირებული „მოთხრობებით“ ყველა ავტორის მისწრაფებების, მიზნებისა თუ ნებისმიერი სათქმელის გადმოცემაა შესაძლებელი.

„მანგას მიმდევარი მხატვრები საქართველოშიც გვყავს, თუმცა ისინი ერიდებიან იაპონური შინაარსის გადმოცემას, რადგან მის ტრადიციას და კულტურას სიღმისეულად არ იცნობენ, რაც აუცილებელია ამ ჟანრში მოღვაწეობისთვის. ამიტომ ქართველი მხატვრები უფრო ქართული ტრადიციების გამომსახველ კომიქსებს ქმნიან. ვიმედოვნებ, რომ მათი ნამუშევრები საერთაშორისო ასპარეზზეც დააინტერესებთ. დღევანდელი პრაქტიკული ხასიათის სემინარის ორგანიზებისთვის, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო იაპონისტიკის მიმართულებას, კათედრას და მის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნანა გელაშვილს. ის დიდ შრომას დებს სტუდენტებში შორეული აღმოსავლეთით დაინტერესებისთვის. ამ სემინარის ჩატარებაც სწორედ ამაზე მეტყველებს“, – განაცხადა ნიკა გოგეშვილმა, რომელმაც სხვა სტუდენტებთან ერთად, ღონისძიების ფარგლებში, მანგას სხვადასხვა ვარიანტი შექმნა.

ცნობისთვის: მანგა და ანიმე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დანარჩენი მსოფლიოსთვის იაპონიის შესახებ ადექვატური შეხედულების ჩამოყალიბებაში. აღსანიშნავია, რომ ხშირად იაპონურ კულტურაზე, საზოგადოებასა თუ პოლიტიკურ მდგომარეობაზე საბაზისო წარმოდგენები სწორედ მანგებისა თუ ანიმეების საშუალებით იქმნება. დასავლური კულტურის ბევრ წარმომადგენელს რომ ჰკითხოთ, იაპონელებთან დაკავშირებით ყველაზე მეტად რისი გაგება გიჭირთო, ერთ-ერთი პასუხი, ალბათ, მანგას ან კომიქსების მიმართ გამოვლენილი უსაზღვრო სიყვარულია. მანგას ინდუსტრიის ღირებულება წელიწადში 500 მილიარდ იენს (4 მილიარდი აშშ დოლარი) შეადგენს. მანგა ორი ძირითადი ფორმით გვხვდება: ყოველკვირეული, ორკვირეული და ყოველთვიური ჟურნალის ტიპის მანგა და ქაღალდის ყდიანი წიგნები, რომლებიც, ჩვეულებრივ, სერიებად გამოიცემა. ეს სერიები ხშირად ჟურნალებში გამოქვეყნებულ სიუჟეტებზე იქმნება და თავის მხრივ სატელევიზიო გადაცემებად ან ფილმებად გადაკეთდება ხოლმე.

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
ირმა სულიაშვილი

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი
თორნიკე ჩხეტიანი
კომპ. უზრუნველყოფა
მიხეილ თვარაძე

რედკოლეგიის წევრები:
მანანა შამილიშვილი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ირმა რატიანი,
ირინე დარჩია,
ვლადიმერ პაპავა,
ეთერ ხარაიშვილი,
ეკატერინე ფირცხალავა,
ნინო გაჩეჩილაძე,
თემურ ნადარეიშვილი,
ლელა ჯანაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გია ლობჟანიძე,
ნინო უგრეხელიძე,
მარინა სალუქვაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
577 52 77 73

ვებგვერდი:
tsu.media

ელ.ფოსტა:
nino.kakulia@tsu.ge

tsu.media

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვეში ერთხელ ბეჭდური სახით გამოიცემა.

ეწვიეთ ყოველდღიურ ჩვენს ვებ-გვერდს
tsu.media

მოგვაწოდეთ ინფორმაცია გასაშუქებლად და გაეცანით საუნივერსიტეტო სიახლეებს